



ახალი ბანათლები

№18 (492) ბაზოლის 1998 წლიდან

მუნრან მაჭავარიანი

თუ სიკვდილია...

ტღავლახაედი ღრო-ეპის მიფხნას,
ვიქათქათებდი,
კით ზლაკერდი,
მიხანს და სიკვდილს მიხნისას მიხნად,
ღედა რომ არა
თრთავეს ერთი.

კვ მივალწიე.

კვ ვკლმსე უკეთუ მიხანს.


კვ ტავისწორე უკეთუ ხომი.

რა ბედენაა დღეების და მთაწმინდის მიწა!..

თუ სიკვდილია!..

აი, წოლა მესმის შამქორში.

1972



ბანათლების რაფორკა

„გზაგადასასრული“
საგანმანათლებლო
დაწესებულებებისთვის

გვერდი 3

სკოლის
ფსიქოლოგთა
დასახელებლად

გვერდი 6

საგანმანათლებლო
ქარები
აქარა

გვერდი 7

ფართომასშტაბიანი კვლევა სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიდევნების გასაუმჯობესებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა საქართველოს მასშტაბით ჩატარა ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კერძოდ, კითხვის მიმართულებაში იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც საბაზო საფეხურზე დაასრულეს სწავლა.

ეროვნულ შეფასებაში მონაწილეობდა 5385 მეცხრეკლასელი 231 საჯარო სკოლიდან, ასევე, ამ სკოლების დირექტორები და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, სულ 324.

შედეგების გაანალიზებაზე მუშაობდნენ როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები, ასევე დარგის 61 მოწვეული სპეციალისტი.

ეროვნული შეფასება ფართომასშტაბიანი კვლევაა, რომელიც სახელმწიფო დონეზე ხორციელდება და რომლის მიზანია შეაფასოს, თუ რამდენად წარმატებულია სწავლა-სწავლების პროცესი ქვეყანაში. კვლევა ერთგვარი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ხდება საგნობრივი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და, შესაბამისად, სწავლების პროცესის დახვეწა. უმთავრესი მიზანი სწორედ სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიდევნების გაუმჯობესებაა. განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის საშუალებაა ეროვნული სასწავლო გეგმა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა სამი ნაწილისგან შედგება: 1. შესავალი, რომელშიც წარმოდგენილია საგნის სწავლების კონცეფცია, მიზნები და ამოცანები; 2. სტანდარტი, რომელშიც საგნის სწავლების მიზნები კონკრეტული შედეგების სახითაა მოცემული. ეს პროცედურული ცოდნაა, რომლის ფლობაც მოეთხოვება მოსწავლეს

თითოეული კლასისა თუ საფეხურის დასრულების შემდეგ; 3. პროგრამის შინაარსი, ანუ დეკლარატიული ცოდნა, რომელიც მოსწავლეს ამ შედეგების მისაღწევად სჭირდება. ამ ტიპის კომპეტენციებზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებს სხვადასხვა ქვეყნებში „შინაარსობრივ სტანდარტს“ უწოდებენ და მათი შეფასება მხოლოდ სტანდარტზე დაფუძნებული ტესტის საშუალებითაა შესაძლებელი.

სტანდარტზე დაფუძნებული ტესტი ამოწმებს პროცედურულ ცოდნას, ანუ იმ კომპეტენციებს, რომელთა ფლობაც მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული კლასის თუ საფეხურის დასრულებისას. კომპეტენცია მოსწავლის კონკრეტული ქმედებაა, რომლის გაზომვა შესაძლებელია იმის გასაგებად, თუ რა მიღწევები აქვს მას ამა თუ იმ საგანში.

ამ ტიპის კვლევის მიზანი არ არის იმის ჩვენება, ვინ ვისზე უკეთესია ან ვინ ვის ჩამორჩება რომელიმე საგანში, როგორც ეს სასელექციო შეფასებისას ხდება. ამ შემთხვევაში, მთავარია, მოსწავლეების ცოდნისა და უნარების დიაგნოსტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა მოინიშნოს მოსწავლეთა ჯგუფები მიღწევის დონეების მიხედვით და ზუსტად აღინეროს, რას აკეთებს თითოეული მათგანი, რა მიმართებაშია მათი ცოდნა და კომპეტენციები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ამასთანავე, მან უნდა გამოავლინოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.

მოსწავლეთა ცოდნა და უნარები განსხვავებული იყო რეგიონების მიხედვით. საუკეთესო შედეგები აჩვენეს თბილისში, კახეთსა და იმერეთში. შემდეგ მოდიან: რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო ქართლი, სამცხე ჯავახეთი, სვანეთი და ა.შ. ზოგადად,

შედეგები გაცილებით უკეთესია დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით გამოირჩევა: ქუთაისი, თბილისი, თელავი, რუსთავი.

საინტერესოა, რომ განსხვავებულია მიღწევის დონეები გოგონებსა და ბიჭებს შორის, კერძოდ, გოგონებს უკეთესი შედეგები აქვთ, რაც, გარკვეულწილად, მოსალოდნელიც იყო, რადგან თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ ასაკში, გოგონები სჯობნიან ბიჭებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს ჩაუტარდა ფსიქომეტრიული ანალიზი. ემპირიული შედეგების საფუძველზე დადგინდა მიღწევის სტანდარტი ექსპერტულ დონეზე, რის შედეგადაც გამოიყო მიღწევის ოთხი დონე და აღინერა თითოეული მათგანი. ამ პროცედურაში მონაწილეობდნენ მონვეული საგნობრივი ექსპერტები, მათ შორის, მასწავლებლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სახელმძღვანელო ავტორები, ფსიქოლოგები. გამოვლინდა შედეგი:

- მიღწევის მაღალი დონე – 16%;
- მიღწევის საშუალოზე მაღალი დონე – 28%;
- მიღწევის საშუალო დონე – 23%;
- მიღწევის დაბალი დონე – 33%.

ჩვენ ვთხოვეთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელს, ირინა სამსონიას უფრო დეტალურად გაეცნო ჩვენი მკითხველისთვის ჩატარებული კვლევა, განემარტა ფსიქომეტრიული და ექსპერტული ანალიზის შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგები და ამ შედეგებთან დაკავშირებული ფაქტორები.

გვერდი 5

მსირა რეკლიკა

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა სააპრობაციო ტესტის გამოქვეყნება გეზეთში „ახალი განათლება“ (2010 წლის 22-26 მარტი) მისასალმებელია. ამგვარი მასალების წინასწარი დაბეჭდვა მასწავლებლებს სერტიფიკაციისთვის ჯეროვნად მომზადებაში მოეხმარება.

ამჯერად რეკლიკა პედაგოგთა ლიტერატურული ტესტების დავალებებს ეხება. არსებითად ეს დავალებები ლიტერატურათმცოდნეობითი, ფილოსოფიური და პედაგოგიკურ-მეთოდური დონით უცხო არ უნდა იყოს მასწავლებლებისთვის. მაგრამ საკითხავია – როგორი კონცეფციით, რამდენად მართებული პედაგოგიკურ-მეთოდური ასპექტებით მოეთხოვებათ მათ დავალების შესრულება? ეს მოთხოვნა უმნიშვნელოვანესად მიმართა, რადგან დავალება, თავისთავად, პედაგოგისათვის, ვისაც მისი შესრულება ეკისრება, კომპასის როლს ასრულებს.

ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მისაღებია მხატვრული ნაწარმოების ანალიზისათვის შერჩეული დავალება: 4.31. ნაიკითხეთ სანდრო ცირეკიდის მინიატურა „უპილოვი“ (11 სტრეიქონი) და განმარტეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი; ჩამოაყალიბეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი დასახული მიზნის მისაღწევად.

სულს მაცნობისა და გარკვეულად მეთოდურად დასახვეწია მეორე დავალება, რომელიც ლიტერატურის სწავლების ბლოკში ასე იკითხება: „(11.32) წარმოიდგინეთ, რომ ასწავლით X კლასს. თქვენი მიზანია დაეხმაროთ მოსწავლეებს ამოიცნონ და შეისწავლონ ტექსტების მხატვრული თავისებურებები. შეარჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტექსტთაგან ერთ-ერთი: იოანე საბანისძის თხზულება „აბოს ნამება“, ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „ლურჯა ცხენები“ და „სილაჟერადე ანუ ვარდი სილაში“, გურამ რჩეულიძის „ალავერდობა“.

ა. გამოყავით და აღწერეთ (?) ამ ნაწარმოების (?) ორი ძირითადი თავისებურება (?) რომელიც, თქვენი აზრით უმნიშვნელოვანესია მთელი ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის. ეს თავისებურებები (?) გულისხმობს (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) თემატიკურ თუ იდეურ პრობლემატიკას, კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, ქვეტექსტსა და ალუზიას, კომპოზიციურ თავისებურებებს (ნაწარმოების არქიტექტურას), პერსონაჟთა დახასიათებისა თუ თხრობის მეთოდების სტილს, ჟანრულ მახასიათებლებს, მხატვრულ საშუალებებს (?), პოეტურ ოსტატობას (?).

კვალიფიციურ მკითხველს ვთხოვ, ჩვენ მიერ შეხსენებული ორი დავალება შინაარსობრივად, მოცულობით, ფილოლოგიურად და, უბრალოდ, ვიზუალურად შეადაროს ერთიმეორეს და ნათლად გაიგებს მათ სხვაობას.

უფრო კონკრეტულად კი, სხვაობა ამ ორ დავალებას შორის ისაა, რომ: ა) მეორე დავალება ძალიან გადატვირთულია საანალიზო-საძიებელი საკითხებით; ბ) ვფიქრობ, ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი სათქმელის მხატვრული ხერხების ფუნქციის გასარკვევად საკმარისი იქნებოდა ორი-სამი მნიშვნელოვანი ხერხის ანალიზი და არა მთლიანად ამა თუ იმ ნაწარმოების პოეტურ ხერხთა ალგორითმი; გ) სასურველი იყო, პოეტური ხერხების აღმოჩენა-გაანალიზება უშუალოდ დაკავშირებული ყოფილიყო კონკრეტული ნაწარმოების სწავლებასთან და სხვ.

ჩემი აზრით, სერტიფიკაციისათვის შეიძლება შემუშავდეს ასეთი დავალებები, მაგალითად, აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ სწავლებისას – 1. დასაბუთეთ აკაკი წერეთლის ჰაჯიუსებისა და ბათუს სასწავლო-აღმზრდელი იდეალი როგორ უპირისპირდება მეფის რუსეთის კოლონიურ სკოლას; 2. დაადგინეთ, როგორი მხატვრული ხერხებითაა დახასიათებული ჰაჯიუსების, ბათუსა და საფარ-ბეგის მხატვრული სახეები.

ხოლო იოანე საბანისძის „აბოს ნამების“ სწავლებასთან დაკავშირებული დავალება შეიძლება შემუშავდეს ამგვარად: 1. განმარტეთ, როგორ შეესაბამება „აბოს ნამების“ იდეურ-თემატიკური შინაარსი VIII საუკუნის ქართველი ხალხის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამალვებას; 2. იმსჯელეთ, თხზულების ჟანრობრივი და კომპოზიციური მოცემულობანი როგორ გამოხატავს ავტორის სათქმელს?

რეკლიკას ორიგინალობის პრეტენზია არ აქვს. მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზსა და მის პედაგოგიკურ-მეთოდურ ტექნოლოგიებზე საკმაოდაა ნათქვამი სპეციალურ ლიტერატურაში, დაბეჭდილია არაერთი სოლიდური მეთოდური ნაშრომიც, მაგრამ რა გინდა... კარგ ნათქვამს კარგი გამგონე სჭირდება, ხოლო დაბეჭდილ ნაშრომებს – გონივრული წაკითხვა და პრაქტიკულად გამოყენება.

დაბოლოს, ვიზიარებ პედაგოგ რიმა ფარერიშვილის მოსაზრებებს, სადაც ნათქვამია: „ყველა საკითხი, ყველა პრობლემა სკოლის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პედაგოგების მონაწილეობით უნდა წყდებოდეს“...

შოთა შურდაძე

საატესტატო გამოცდებისათვის ფართომასშტაბიანი აპრობაცია დაიწყო

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი თბილისის №57 საჯარო სკოლას ეწვივნენ, სადაც 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე გამსვლელი ქულის დასადგენად მე-11 კლასის მოსწავლეებში პრეტესტი მიმდინარეობს. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, დამამთავრებელ კლასში გამოცდების ჩაბარება სახელმწიფოს მისცემს გარანტიას, რომ მოსწავლეები სკოლაში ზოგად განათლებას რეალურად მიიღებენ. ამასთან, გაიზრდება მოსწავლეთა დასწრება და სკოლებში ყველა საგანი თანაბრად პრიორიტეტული გახდება.

იმისათვის, რომ 2011 წლის საატესტატო გამოცდებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დადგინდეს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქართველოს 36 რაიონის 62 სკოლა განისაზღვრა. აღნიშნულ სკოლებში 18-დან 21 მაისის ჩათვლით საცდელი ტესტირებები ტარდება და მასში მონაწილეობას მე-11 კლასის 1500-მდე მოსწავლე და შესაბამისი საგნების 500-ზე მეტი პედაგოგი იღებს. მოსწავლეები აპრობაციას ყველა იმ საფაღდებულო საგანში გადიან, რომელიც მომავალ წელს ატესტატის ასაღებად არის აუცილებელი. პედაგოგები ასევე შეაფასებენ სპეციალურ კითხვარს.

საცდელი ტესტირების შედეგების ანალიზით დადგინდება როგორც კომპეტენციის მინიმალური ზღვარი თითოეული გამოცდისათვის, ასევე ატესტატის გაცემის ოპტიმალური ფორმულა. აპრობაციების შედეგად გამოიცდება ასევე ტესტური დავალებები, განისაზღვრება საატესტატო გამოცდის ფორმატი და დადგინდება, კონკრეტულად რა მიმართულებით საჭიროებენ მოსწავლეები დახმარებას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადწყვეტილებით, 2011 წელს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ზოგადი განათლების დამატატურებელი დოკუმენტის მისაღებად გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში ჩააბარებენ



იაკობ გობაჯაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გობაჯაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს შიდა ფაკულტეტების დეკანის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

- ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის;
- ბ) სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების;
- გ) პედაგოგიური;
- დ) ჯანდაცვის;
- ე) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა.

ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2010 წლის 22 მაისიდან 2010 წლის 5 ივნისის ჩათვლით, 10-დან 17 საათამდე, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (მეორე სასწავლო კორპუსი, მეორე სართული). კანდიდატებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ CV და ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

არჩევნები ჩატარდება მიმდინარე წლის 26 ივნისს 13 საათზე.

იაკობ გობაჯაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო



გ ა ნ ს ს ა დ ე ბ ა

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის გამგეობა აცხადებს ღია კონკურსს ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად.

პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება 2010 წლის 5 ივნისს, თბილისში, ასოციაციის გენერალურ ასამბლეაზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: CV, მოტივაციის წერილი (მასში უნდა იყოს ჩადებული ასოციაციის განვითარების კონცეფცია და აპლიკანტის ხედვა, რისი გაკეთება შეუძლია ასოციაციისათვის პრეზიდენტობის შემთხვევაში).

დოკუმენტები უნდა გამოიგზავნოს 2010 წლის არა უგვიანეს 5 ივნისისა

შემდეგ დაინიშნება გასაუბრება, რომელიც გამოცხადდება ცალკე.

აპლიკანტებმა დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელფოსტაზე: tsirachikvaidze@yahoo.com ; oreisner@yahoo.de ; lika2medz@yahoo.com

სახელმწიფო შესყიდვები – „ელექტრონული ტენდერი“

გაბიჯებულს მკითხველს, პროექტ საგანმანათლებლო „გზამკვლევის“ ფარგლებში ვაბრძოლებთ წინა ნომერში გამოქვეყნებული - სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას. დღევანდელ ნომერში შემოგთავაზებთ იმ სიახლეებს, რომლებიც გაითვალისწინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობა და განვიხილავთ „ელექტრონულ ტენდერს“. ვიდრე უზუსტოდ დღევანდელ თემაზე საუბარს დავიწყებდით, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

მნიშვნელოვანია

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებასა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

ეს ნორმა არ ეხება საჯარო სკოლების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს და შესაბამისად, ამ შესყიდვებზე სრულად ვრცელდება ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა.

2010 წლის 1 სექტემბრიდან შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან, განახორციელონ სახელმწიფო შესყიდვები ელექტრონული შესყიდვის მეშვეობით.

ზოგადი ცნებები

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – 100 000 ლარამდე ღირებულების საქონლისა და მომსახურების და 200 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის ვადა არის არანაკლებ 3 დღისა;

- ელექტრონული ტენდერი – 100 000 ლარის ღირებულების ზევით საქონლისა და მომსახურების და 200 000 ლარის ღირებულების ზევით სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება;

- ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი – ელექტრონული ტენდერის სახეობა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც, შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის წინასწარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ელექტრონული ტენდერის პირველ ეტაპზე ელექტრონული ტენდერის პროცედურებში მონაწილეობის მსურველებთან მოლაპარაკების გამართვა ტექნიკური მარცხენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით.

სატენდერო კომისია

- ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც, არანაკლებ, 5 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისია შეიძლება შედგებოდეს 3 წევრისაგან.

- სატენდერო კომისიის წევრებზე ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები. სატენდერო კომისიის თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის პრეტენდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ახლო ნათესავი (კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები).

- სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

- სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტილება სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

- სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება

- ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ელექტრონული – ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სა-

ტენდერო დოკუმენტაციას აქვეყნებს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით.

- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები, შესასყიდი მისაწოდებელი საქონლის სახეობა და სხვ. (იხ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, თავი 3; მუხლი 121).

- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია. სატენდერო კომისია ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით აქვეყნებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამატებით დოკუმენტებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების დასრულებამდე, არანაკლებ, 20 კალენდარული დღით ადრე.

- სატენდერო კომისიის უფლება აქვს, შეცვალოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია (გარდა შესყიდვის ობიექტისა). ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებები ერთიანი ელექტრონულ სისტემაში უნდა განთავსდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამატებით დოკუმენტებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

საკვალიფიკაციო მონაცემები

- პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო ნინადადებები სატენდერო კომისიის წარდგინება ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების საბოლოო ვადის დასრულებისთანავე კომისია ადგენს საკვალიფიკაციო შერჩევის, სატენდერო ნინადადებების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებს.

- პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, ელექტრონულად, ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს თავისი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო ნინადადებები.

- საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების ვადის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებს უფლება აქვთ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, დამატებითი დროის განმავლობაში შეცვალონ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად წარდგენილი მონაცემები ელექტრონული ვაჭრობის გზით. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების საბოლოო ვადა დასრულებულად ითვლება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული დამატებითი დროის ამოწურვისას.

- საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო ნინადადებების მიღების საბოლოო ვადის დასრულების შემდეგ, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს შერჩევა. შერჩევის მიზანია წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების, სატენდერო ნინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო ნინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

- თუ საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაში დაშვებულია მექანიკური შეცდომები, სატენდერო კომისიამ უნდა მიმართოს პრეტენდენტს წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონა-

ცემების ან/და სატენდერო ნინადადების დაზუსტების მოთხოვნით, რაც მან უნდა განახორციელოს ელექტრონულად ინტერნეტის საშუალებით.

- სატენდერო ნინადადებები შეფასდება სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. აღნიშნული კრიტერიუმების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია.

- სატენდერო კომისია ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შეფასების კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით წარდგენილი წერილობითი დასკვნების საფუძველზე.

- სატენდერო კომისიის წევრის დასკვნაში უნდა მიეთითოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, აგრეთვე მისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძველები.

- პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას სატენდერო კომისიის წევრთა დასკვნების საფუძველზე ენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა.

- სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ერთიანი კომისიის წევრთა დასკვნები. ოქმში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სატენდერო ნინადადებების განხილვაში მონაწილე პირებისა და პრეტენდენტთა შესახებ, აგრეთვე მოკლედ უნდა აღინიშნოს პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო ნინადადებები.

- სატენდერო კომისია ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით აქვეყნებს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

- თუ ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდეგ არც ერთი საკვალიფიკაციო მონაცემი ან/და სატენდერო ნინადადება არ იქნა წარდგენილი ან პრეტენდენტთა მიერ წარდგენილი არც ერთი საკვალიფიკაციო მონაცემი ან/და სატენდერო ნინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ადგენს ახალ სატენდერო დოკუმენტაციას და ატარებს ხელახალ ელექტრონულ ტენდერს.

გასათვალისწინებელია

სატენდერო კომისიის უფლება არა აქვს, გამართოს მოლაპარაკება ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებთან და პრეტენდენტებთან, გარდა ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევისა ან ზეპირი ვაჭრობისა.

ზეპირი ვაჭრობა

- ზეპირი ვაჭრობა გაიმართება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ადგილზე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, შერჩევის პროცედურის დასრულებისთანავე დაადგინოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ დღეს ზეპირი ვაჭრობის დაწყების კონკრეტული დრო და ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს შეფასებაზე დაშვებულ პრეტენდენტებს.

- სატენდერო კომისია ვალდებულია, ზეპირ ვაჭრობაზე მოიწვიოს ის პრეტენდენტები, რომლებიც შერჩევის პროცედურების დასრულების შემდეგ დაიშვებიან შეფასებაზე. ზეპირი ვაჭრობა დასრულებულად ითვლება ყოველი მონაწილის მიერ თავისი ფასის სამჯერ შეცვლის ან/და საბოლოო ფასის დაფიქსირების მომენტში. ზეპირი ვაჭრობის პროცედურა უნდა დასრულდეს მისი ჩატარების დღეს.

- ზეპირი ვაჭრობის მსვლელობა, მათ შორის თითოეული მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო ნინადადების ფასი და ყოველ ჯერზე შეცვლილი დაფიქსირებული ფასი, ასახულ უნდა იქნეს შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სატენდერო კომისიის ყველა წევრი და მონაწილე პრეტენდენტები.

- ზეპირ ვაჭრობაზე საბოლოო ფასების დაფიქსირების შემდეგ შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფასურის განაკვეთი

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურების შემთხვევაში სატენდერო ნინადადების წარდგენისათვის წესდება საფასური 50 ლარის ოდენობით, ხოლო კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერის (იხ. კანონი სახ. შესყიდვების შესახებ) მუხლი 202. კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერი) პროცედურების შემთხვევაში, სატენდერო ნინადადების წარდგენისათვის წესდება საფასური 5 000 ლარის ოდენობით. საფასურის გადახდის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

არ აბრძნობინოთ განსხვავებულობა

ინკლუზიური სწავლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, ასევე, გულისხმობს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

სამინისტრო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ განსაზღვრავს ბავშვებს:

- ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით;
- მხედველობისა და სმენის დარღვევით;
- მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით;
- რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს;
- რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები;
- რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრება.

სსსმ ბავშვებს განათლება, როგორც პრიორიტეტი, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა 2004 წლიდან, როდესაც განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო. საქართველოში ინკლუზიური სწავლების დაწესებას მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება გაუწია ნორვეგიის მთავრობამ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტი: „ინკლუზიური სწავლების დაწესება თბილისის 10 სკოლაში“, მათ შორისა ჩვენს, 24-ე საჯარო სკოლაში.

ჩემი მოსწავლე გოგონა 7 წლის იყო, როცა I კლასში ჩაირიცხა. ახლა უკვე II კლასს ამთავრებს. ბავშვს აღენიშნება: ჰიპერაქტიურობა, ყურადღების დეფიციტი, მეტყველების არტიკულატორული დეფექტი, ნატიფი მოტორიკის დარღვევები, არის ცაცია.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (Attention Deficit Hyperactivity Disorder – ADHD) ბავშვებში გავრცელებულ ნეირობიოლოგიურ და ქცევით დარღვევას წარმოადგენს, რომელიც მოზარდობასა და ზრდასრულ ასაკშიც გადადის. მრავალი კვლევის საფუძველზე მიჩნეულია, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი წმინდა სამედიცინო დარღვევაა. ასეთი ბავშვისთვის დამახასიათებელია უყურადღებობა, იმპულსურობა და ჰიპერაქტიურობა – საკლასო ოთახში მრავალ პრობლემას ქმნის.

ჩემს მოსწავლეს აღენიშნებოდა ქცევის მართვის პრობლემები, ვერ



ასრულებდა მითითებებს, გამუდმებით საუბრობდა, ხშირად ცქმუტავდა და ვერ ჩერდებოდა გაკვეთილზე, ვერ ახერხებდა დავალების შესრულებას, ხელს უშლიდა სხვა მოსწავლეებს, ხმაურობდა, უნებართვოდ გადაადგილდებოდა საკლასო ოთახში, უცებ წამოხტებოდა და თვითნებურად ტოვებდა გაკვეთილს, ხანდახან იჩენდა აგრესიას, ხმარობდა მიუღებელ სიტყვებს, ისროდა საგნებს. იმპულსურია და არ ფიქრობს, სანამ რამეს ჩაიდინს.

ვინაიდან ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში, შევეცადე ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინა, რაც პედაგოგიურ საქმიანობას უკავშირდებოდა.

გაგიზიარებთ საკუთარი გამოცდილებით მიღწეულ შედეგებს და რამდენიმე რჩევას მოგცემთ:

- უნდა ვიცოდეთ ბავშვის ზუსტი დიაგნოზი, რასაც მშობლების დახმარებით გავცნობით. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ორი ერთნაირი ბავშვი არ არსებობს!
- ამიტომ კონკრეტული მოსწავლისათვის უნდა შემუშავდეს სტრატეგია იმის გათვალისწინებით, რომ კლასში მყოფი სხვა ბავშვებისთვისაც მისაღები იყოს.
- უპირველესად, აუცილებელია ფიზიკური, სასწავლო და სოციალური გარემოს მომზადება;
- სწორად შევუარჩიოთ ადგილი საკლასო ოთახში. სასურველია, ასეთი მოსწავლე პირველ მერხზე იჯდეს, კარიდან და ფანჯრიდან მოშორებით.
- მასწავლებელი სსსმ ბავშვს ისევე უნდა მოექცეს, როგორც დანარჩენ მოსწავლეებს.
- მოსწავლეები უნდა ეცადონ, რომ სსსმ ბავშვს არ აბრძნობინონ მისი განსხვავებულობა, თანასწორად უნდა აღიქვან.
- უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთან ერთად განსაზღვრავს სსსმ ბავშვის მშობელი, რესურსოთახის მასწავლებელი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი.
- გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სსსმ ბავშვის ქცევისა და აკადემიური შესაძლებლობების შესწავლა, ხანდახან მხარეები.
- განისაზღვროს ბავშვზე სწორად მორგებული სასწავლო დღის განრიგი.


ჩემი მოსწავლე ესწრება ორ გაკვეთილს. მესამე გაკვეთილის პერიოდს რესურსოთახში ატარებს, ხოლო შემდეგ კლასს უბრუნდება.

რესურსოთახი – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებული ოთახი, რომელიც ალტერნატიული მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებითაა აღჭურვილი. მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო-პარატურა, კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი.

რესურსოთახის ემსახურება: სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სსსმ ბავშვის ინკლუზიური სწავლების პროცესში მონაწილეობს. რესურსოთახი სსსმ მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ, საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმუცადინონ. სსსმ მოსწავლის რესურსოთახში ყოფნის ინტენსივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

• პირველ ორ გაკვეთილზე მას აქვს სპეციალურად შერჩეული ადვილად გასაგები დავალებები, რომლებსაც მასწავლებლის მეთვალყურეობით ასრულებს.

• ნინასწარ დაგეგმეთ გაკვეთილი. გაკვეთილის დაწყებისას მოკლედ



ჩამოაყალიბეთ აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ.

• დასახეთ გაკვეთილის მოლოდინები. სინდრომის მქონე ბავშვს მკაფიოდ უნდა ესმოდეს, რას მოელოან მისგან და ასევე ის, თუ რა მოელის მას მოლოდინების შეუსრულებლობისთვის.

• ნუ მოსთხოვთ სინდრომის მქონე ბავშვს რთული დავალების შესრულებას კლასის წინაშე. დავალება მისთვის კარგად გასაგები და ადვილად დასაძლევია უნდა გავხადოთ.

• აუცილებელია შესრულებული სამუშაოს შემოწმება მისი თანდასწრებით. დიდი სიფრთხილით მოვახდინოთ ხარვეზების აღნიშვნა. შესრულებული სამუშაოსათვის აუცილებლად ნაგაზალისო!

• გამოიყენეთ აუდიო-ვიზუალური მასალა, ამით არა მარტო ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის, არამედ მთელი კლასის ყურადღების ფოკუსირებას შეძლებთ.

ქცევის მართვის სტრატეგიები

- უნდა შევადგინოთ საკლასო წესები მოსწავლეების მონაწილეობით. გავაკრათ მათთვის თვალსაჩინო ადგილზე.
- მოვითხოვოთ წესების მკაცრად დაცვა.
- ეფექტურია როლური თამაშები.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სინდრომის მქონე ბავშვის ნახალისება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე დასჯა.

• დაამყარეთ ვიზუალური კავშირი – თვალთ კონტაქტით მიახვედრეთ, რომ გვერდით ხართ და ხედავთ მის ქცევას.

უკვე დაძლეული სირთულეები

- შეუძლია ამოიცნოს ქართული ანბანის ყველა ასო, ამოიკითხოს ცალკეული მარცვლები, სამ და ოთხ ასო-ბგერის სიტყვები. იმახსოვრებს საგაკვეთილო ტექსტის შინაარსს, პასუხობს

კითხვებს, თავისებურად გადმოცემს შინაარსს.

• შეუძლია მასწავლებლის გამოწვეული ნიშნის გადატაროს კლასში ასოს მართლწერის ზუსტი მითითებით. დამოუკიდებლად ახერხებს რამდენიმე ასოს წერას. წერს ცალკეულ მარცვლებს, ორ-მარცვლიან სიტყვებს.

• ამოიცნობს და ითვლის რიცხვებს, ათამდე რაოდენობებს, შეუძლია 10-ის ფარგლებში რიცხვების დათვა და ჩანერა (+, -, =). შეუძლია მარტივი გამოსახულების კარნახით ჩაწერა.

• ცნობს და ახასიათებს გეომეტრიულ ფიგურებს.

• ახერხებს გროვში მოცემული საგნების კანონზომიერების მიხედვით დაჯგუფებას, დაწყვილებას.

• შეუძლია გამოჭრას ფიგურები და დაანებოს.

• თითქმის შესაძლებელი გახდა ქცევის მართვა გაკვეთილზე.

• მიატოვა მიუღებელი სიტყვების ხმარება.

• აღარ ტოვებს კლასს თვითნებურად.

• ნებისყოფით უმკლავდება დავალებებს.

• აქტიურად ერთვება ჯგუფურ თამაშებში.

ახლა უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ უნდა შევუშინდეთ პრობლემას! ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა. მასწავლებელი უნდა ეცადოს, სასწავლო მასალა მოსწავლის უნარებს მიუხალოვოს. სკოლაში მომუშავე ყველა ადამიანი უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას და ჰიპერაქტიურობისა და ყურადღების დეფიციტის სინდრომი განკურნებადი გახდეს.

თია შენგელია

24-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** ნეროვანის №3 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტი გახსნა. კაბინეტი უცხო ენების გაძლიერებულად სწავლების პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და კეთილმოეწყო. ამერიიდან, ნეროვანის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლიან.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, საჯარო სკოლებში ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლება პრეზიდენტის ინიციატივა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნეროვანის სკოლა პირველია, სადაც უცხო ენის სწავლების თანამედროვე კლას-კაბინეტი მოეწყო. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ნეროვანის ახალ დასახლებაში მდებარე სკოლაში ჩაეყარა საფუძველი ახალ ინიციატივას და აქ მცხოვრები ბავშვები პირველები შეძლებენ

ინგლისური ენის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლას. ანალოგიურად მოეწეობა და აღიჭურვება საქართველოს დანარჩენი სკოლებიც.

ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლებას ითვალისწინებს სამინისტროს ახალი პროექტი „სასწავლო და ისწავლო საქართველოსთან ერთად“, რომლის მიზანია საქართველოს მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის შესწავლის პროცესის გაუმჯობესება და ნახალისება უცხოელებთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე, რომელიც ენის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 1000 უცხოელი მოხალისე/მასწავლებლის ჩამოყვანა იგეგმება, რომლებიც სკოლებში ინგლისური ენის სწავლების გარდა, ასევე, ჩაერთვებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში და ამ კუთხითაც შეიტანენ წვლილს სკოლის განვითარებაში.

ფართოდასპტაზიანი კვლევა სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევის ბასაუბოზისად

პირველი გვერდიდან

თითოეული სასკოლო საგნის პროგრამა განათლების ეროვნული მიზნების შესრულებას უწყობს ხელს. ამ მიზნებიდან ჩვენი შეფასებისთვის შევარჩიეთ ორი: 1. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; 2. ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი.

საკვლევი ობიექტის, ანუ ამ ორი მიზნის შესამოწმებლად მასალად შევარჩიეთ სხვადასხვა ტიპის ტექსტები, მათ შორის მხატვრული (პროზა და პოეზია) თხზულებები და არამხატვრული (საინფორმაციო, მეცნიერებითი, სამეცნიერო-პოპულარული) ტექსტები. ხოლო ინსტრუმენტი, რომელმაც საგნობრივი ცოდნისა და უნარების შეფასების საშუალება მოგვცა, იყო ამ ტექსტებზე შექმნილი ტესტური დავალებები.

მოსწავლეებს რამდენიმე ტიპის ტესტური დავალება შევთავაზეთ:

• დახურული ტიპის, რაც გულისხმობს სტანდარტულ, არჩევითი პასუხების მქონე კითხვებს, ასევე, ე.წ. „ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის კითხვებს და ტესტურ დავალებებს, რომლებიც ჩამოთვლილი მოვლენებისა თუ საგნების გარკვეული თანმიმდევრობით (ქრონოლოგიური, ლოგიკური და ა.შ.) დაწყობას მოითხოვს;

• შესაბამისობის ტიპის ტესტური კითხვები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს ტექსტის ინფორმაციულ, შინაარსობრივ თუ ენობრივ სიბრტყეებზე კონკრეტული ნიშნით ურთიერთმიმართებების ამოცნობას;

• ღია ტესტური დავალებები, სადაც მოსწავლემ თავად უნდა დაწეროს პასუხი (მოკლე, ვრცელი და ესეს ტიპის), ჩასვას გამოტოვებული სიტყვა ან ფრაზა და დაასრულოს წინადადება.

ჩვენი შეფასების მიზანი იყო შეგვესწავლა, რა დონეზე ფლობენ მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კომპეტენციებს კითხვის მიმართულებებში: საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ; როგორ ახერხებენ ნაკითხული ტექსტის აღქმა-გაგებას, გააზრებასა და ინტერპრეტირებას; რამდენად ფლობენ წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებს და სტრატეგიებს. მისაღწევი შედეგები დავაჯივით ოთხ ძირითად სფეროდ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა კომპონენტებად დაიშალა და ქვეფერების სახით ჩამოყალიბდა. ამან საშუალება მოგვცა სხვადასხვა დონეზე კითხვისთვის აუცილებელი კონკრეტული და ოპერაციული უნარები შეგვეფასებინა.

შეფასების ჩარჩოს შექმნისას პრინციპი, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ იყო ის, რომ კითხვის პროცესი კონკრეტული თვალსაზრისით, ორ ძირითად დონეზე მოიცავს – გაგება-გააზრება და ინტერპრეტაცია.

სფეროებად დაყოფისას გავითვალისწინეთ ისიც, რომ ყველა სააზროვნო ოპერაცია, რომელიც მოსწავლეს ნაკითხულის გაგება-გააზრებისთვის, გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის სჭირდება, მიემართება არა მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივ პლანს, არამედ მის ენობრივ-გამომხველობით და ფორმალურ მხარეებსაც.

აქედან გამომდინარე, ჩვენი შეფასების ჩარჩოს მიხედვით, გაგების დონე მოიცავს შემდეგს:

• ტექსტში პირდაპირი (ექსპლიციტურად) და ქვეტექსტურად (იმპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის გაგება, მოძიება და კონკრეტული ნიშნით კლასიფიკაცია;

• ტექსტის შინაარსის გაგება. ეს გულისხმობს მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ნაწილის, როგორც დასრულებული ერთეულის, ზოგადი და დეტალური შინაარსის გაგებასა და აღქმას, მასში პირდაპირ და ქვეტექსტის საშუალებით გადმოცემული ამბების, გამოთქმული მოსაზრებების გაგება-გააზრებას, დასკვნების გამოტანასა და ტექსტის (ასევე, მისი ცალკეული ეპიზოდისა თუ მონაკვეთის) შეჯამებას, ასევე მის დაკავშირებას საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან თუ არსებულ ლიტერატურულ ცოდნასთან;

• ლექსიკის გაგება. შეფასების ფარგლებში ჩვენი მიზანი იყო არა იმის შემოწმება, თუ რა ლექსიკური მარაგი აქვთ მოსწავლეებს, არამედ იმის გაგება, თუ რამდენად კარგად ფლობენ ისინი კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს უცნობი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გასაგებად, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებენ ტექსტზე დარ-

თულ საცნობარო აპარატს (კერძოდ, ლექსიკონს და სქოლიოს), ასევე რა სააზროვნო უნარები აქვთ მათ ამოსაცნობად, შეუძლიათ თუ არა კონტექსტზე დაყრდნობით უცნობი ლექსიკური ერთეულების სწორად გაგება და აღქმა;

• ტექსტის ენის აღქმა-გაგება, რაც გულისხმობს კონკრეტული ტიპის ტექსტისთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციების, ავტორისა თუ პერსონაჟის ენის, პროფესიული ლექსიკის, ჟანრის, დიალექტური ფორმებისა და არქაიზმების ამოცნობასა და გაგებას, ასევე ფრაზოლოგიზმებისა და მხატვრული ხერხების ამოცნობას, მათი შინაარსის აღქმა-გაგებას.

• ტექსტის ფორმისა და სტრუქტურის ამოცნობა და აღქმა, კითხვის ეს კომპონენტი ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეს წარმოადგენს და გულისხმობს ტექსტის ტიპის ამოცნობას მისი ენობრივი, სტილური, სტრუქტურული თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით.

• რაც შეეხება ტექსტის ინტერპრეტაციასა და ანალიზს, ჩვენი მიზანი იყო, შეგვემოწმებინა მოსწავლეების რეფლექსიისა და შეფასების უნარები, რაც გულისხმობს ტექსტში მოცემული იდეების, მოსაზრებების, შეხედულებების, მხატვრულ ტექსტებში ასევე პერსონაჟთა საქციელის, აგრეთვე, ენობრივ-გამომხველობითი საშუალებების გაანალიზებისა და შეფასების, მოსწავლისგან საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარების გამოვლენას. ინტერპრეტაციის დონეც, გაგების მსგავსად, მოიცავს შემდეგს:

– ტექსტის შინაარსის ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება. ინტერპრეტირება შეიძლება პირდაპირ (ზედაპირულ, ექსპლიციტურ), გადატანით (მეტაფორულ, ქვეტექსტურ) და სიმბოლურ დონეზე. ეს გულისხმობს ნაკითხული ტექსტის იდეური მხარის, მთავარი პრობლემის, ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობას და გააზრებას, მისი პოზიციის შეფასებას; ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, არაპირდაპირ დასკვნების გამოტანას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას და ახსნას, პერსონაჟის საქციელისა თუ შეხედულებების გაანალიზებას და შეფასებას სხვადასხვა პოზიციიდან, აგრეთვე, მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ეპიზოდის ინტერპრეტაციას, ანალიზს, შეფასებას თუ სხვა კომპლექსურ სააზროვნო ოპერაციებს;

– ტექსტის ენის გაანალიზება და შეფასება. ეს არის ნაკითხული ტექსტის ენობრივი ანალიზი იმ ენობრივ-გამომხველობითი საშუალებებით (მხატვრული სახეები, სპეციალური ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები და სხვ.), რომლებიც ქმნიან სხვადასხვა ფენის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს;

– ტექსტის ფორმისა და სტრუქტურის გაანალიზება და შეფასება. საბოლოოდ აღინერა ყველა კომპეტენცია, რომელთა ფლობაც მეცხრეკლასელს მოეთხოვება ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვის მიმართულების დასაძლევად.

კვლევისას ჩვენი მიზანი იყო, ერთი მხრივ, შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულად მოგვეცვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიმართულება და, მეორე მხრივ, მოსწავლის ინტელექტუალური მზაობისა და მიღწევის კრიტერიუმები, ანუ სრულად დაფარული კითხვის მიმართულება დაგვეყო, დაგვეჩვენებინა ისე, რომ მოსწავლეთა მთლიან ოდენობაში ერთგვაროვანი მიღწევების დონეების, მიღწევის ჯგუფების მონიშვნა, მარკირება შეგვეძლებოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის კითხვის მიმართულება ისე ამოგვეწერა შინაარსობრივად, რომ მარტო ძლიერებსა და კარგებსე კი არ ყოფილიყო ეს კითხვები გათვალისწინებული, არამედ საშუალო და დაბალი მოსწავლეთა მოსწავლეებისთვისაც, სრულად მოგვეცვა სხვადასხვა მოსწავლეთა მოსწავლეთა მთელი ოდენობა, მთელი სპექტრი.

ის, რომ კვლევის ფარგლებში შერჩეულ მოსწავლეთა 16 პროცენტი მაღალ დონეზე, სრულად ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს კითხვის მიმართულებაში, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ნამდვილად კარგი შედეგია. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობაც, რომლებიც კითხვის მინიმალურ კომპეტენციებს ფლობენ, რასაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ყველა, ვინც პირდაპირ თუ ირიბად სასწავლო პროცესის მონაწილე, მათ შორის საგანმანათლებლო პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციები, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, სახელმძღვანელო ავტორები, მშობლები.

ცხადია, ყურადღება იმ 33%-ზე უნდა გადავახვილოთ, რომელიც მიღწევის დაბალ დონეზეა და ვეცადოთ, როგორმე დავწიოთ ეს პროცენტული მაჩვენებელი. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ დაბალ დონეზე მყოფმა ბავშვებმა არაფერი იციან. ემპირიული შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მათ შეიძლება უჭირთ რთული სააზროვნო ოპერაციები, ტექსტის კომპლექსური, ღრმა ანალიზი, რთული მხატვრული ხერხების გაანალიზება, მაგრამ გარკვეული უნარები აქვთ, მაგალითად, შეუძლიათ ტექსტის ზოგადი შინაარსის გაგება, პერსონაჟის საქციელის მოტივის ახსნა, კონკრეტული ეპიზოდის თუ მონაკვეთის მარტივი ანალიზი. იყო კითხვები, რამდენადა შედეგებმა, სიმართლე გითხრათ, გაგვაოცა.

მაგალითად, როდესაც მოსწავლეებს ვთავაზობდით მხატვრული სახეებით საკმაოდ დატვირთულ პოეტურ ტექსტს, მოველოდით, რომ უფრო ძლიერი მოსწავლეები შეძლებდნენ მასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას. აღმოჩნდა, რომ მხატვრული სახეების აღქმის უნარი სუსტ მოსწავლეებსაც აქვთ განვითარებული და ასეთ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა მათთვის უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით.

მიღწევის მაღალ დონეზე მყოფი 16%, პრინციპში, სრულად ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ შედეგებს კითხვის მიმართულებაში.

საშუალოზე მაღალი დონე – 28% და მაღალი – 16%, ერთიანობაში 44%, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსწავლეები ფლობენ პოტენციალს, რომ წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა კვლევის შედეგების საფუძვლიანად გაანალიზება და ხარვეზების აღმოფხვრა.

მოსალოდნელი იყო ის, რომ ტექსტის შინაარსის გაგებასთან, მარტივი ინფორმაციის ამოკრებასა და ამ ინფორმაციის კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ დავალებას მიღწევის ყველა დონეზე მყოფი მოსწავლეები გაართმევდნენ თავს. კითხვის პროცესი კონკრეტური თვალსაზრისით ორ დონეს მოიცავს – გაგება (პირველ რიგში უნდა გაიგოს) და ინტერპრეტაცია (ანალიზი, შეფასება – ღრმად სააზროვნო ოპერაციები). ერთი შეხედვით, ყველას წარმოუდგენია, რომ გაგება უფრო მარტივია, ვიდრე ინტერპრეტაცია, მაგრამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყოველთვის ასე არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, ტექსტის შინაარსის გაგება და მასში ინფორმაციის მოძიებაზე ორიენტირებული დავალებების შესრულება უფრო გაუჭირდათ მოსწავლეებს, ვიდრე ტექსტით გადმოცემული შეხედულებების, მოსაზრებების, იდეების, პერსონაჟთა სახეების ამოცნობა, მაგალითად, შედარებით ძლიერ მოსწავლეებსაც კი არ გაუადვილდათ ისეთი ტესტური დავალებების შესრულება, რომლებიც საგნების, მოვლენებისა თუ ფაქტების რაიმე კონკრეტული ნიშნით კლასიფიკაციას, ან მოვლენათა თანამიმდევრობის ამოცნობას თუ აღდგენას მოითხოვდა, რაც შესაძლებელია არა კონკრეტური, არამედ ოპერაციონალურ დონეზე არასაკმარისი გავარჯიშების პრობლემა იყოს.

მოგესხენებათ, როგორც სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგებისა და გააზრების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, გაიზარდა არამხატვრული ტექსტების ხვედრითი წილი და ეს საკმაოდ უხვად აისახა სახელმძღვანელოებშიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ ხარვეზები ჯერ კიდევ არის. შესაბამისად, მიღწევებთან ერთად ნაკლებე შეგვიძლია ვისაუბროთ. ზოგადი დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეებს მხატვრული ტექსტების აღქმა-გაგება უფრო უადვილდება, ვიდრე არამხატვრულის. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მიღწევის საშუალო და დაბალ დონეებზე მყოფ მოსწავლეებში. საშუალოზე მაღალ და მაღალ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს შორის ეს განსხვავება არ შეინიშნება, ფაქტობრივად, თანაბრად შეუძლიათ გაართვან თავი.

შეფასების შედეგად გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგებთან ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მშობლების ფაქტორი. ყველა საერთაშორისო კვლევასა და სახელმწიფო დონის კვლევაში, რასაც ჩვენ ვიცნობთ, ძალიან დიდი როლი ენიჭება მშობლების ჩართულობას და მათთვის შემუშავებული სპეციალური რეკომენდაციები. რაც უფრო განვლიდა ურადლებას იჩენს მშობელი შვილის განათლებისადმი, მით უფრო დაბალია მისი მიღწევის დონე. რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობე-

ლი სასწავლო პროცესში, მით უფრო იმატებს შედეგი.

მნიშვნელოვანია, ასევე, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა – აქ ძალიან საინტერესო შედეგები გამოიკვეთა. მოსწავლეებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვთ მასწავლებელთან – თანამშრომლობისა და კომუნიკაციის პრობლემა, ცუდი შედეგები აქვთ, მათი უმრავლესობა მიღწევის დაბალ დონეზეა. როცა არის თანამშრომლობითი, საშუალოზე უკეთესი ურთიერთობა, შედეგები გაცილებით უმჯობესდება. მაგრამ თუ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის შედეგად კარგი ურთიერთობაა, ანუ გარკვეულ ზღვარს მიღმა გადასული, შედეგები საგრძობლად უარესდება. ეს ძალიან თვალსაჩინო შედეგია და მასწავლებლებმა ყურადღება უნდა გადაახვიონ ამ ფაქტორზე.

საინტერესოა, როგორ აისახება შედეგზე მოსწავლის გარეგანი და შინაგანი მოტივაცია – რატომ ასრულებენ დავალებას: აინტერესებთ, სიამოვნებთ, მასწავლებლის ემინიათ, მშობლის ემინიათ, უნდათ თავი წარმოაჩინოთ თუ სხვ. ამ მხრივაც საგულისხმო შედეგები გვაქვს. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც ამბობს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის დავალებას ასრულებს იმიტომ, რომ მასწავლებელი არ ეჩხუბოს ან იფიქროს, რომ კარგი მოსწავლეა, როგორც წესი, მიღწევის მაღალ დონეზეა. რაც უფრო რბილდება შეფასება და ამბობენ, რომ არა, ასე არ არის, მით უკეთესია შედეგები. ასევეა შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში – თუ მოზარდი ამბობს, რომ დავალების შესრულება მისთვის სახალისო და სასიამოვნოა – შედეგიც მაღალია.

მასწავლებლები ხშირად ამბობენ, მოსწავლე ვერ კითხულობს კარგად. რას ნიშნავს ეს? რა უნარი არ აქვს გამომუშავებული? ამ თვალსაზრისით, მათთვის ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენი კვლევა, რადგან აქ განვიხილეთ კითხვის ყველა კომპონენტი, რომელიც დაუფლებაც სჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბდეს. როდესაც მასწავლებლები კვლევის შედეგებს გაეცნობიან, უკეთ გააანალიზებენ, რატომ ვერ კითხულობს ესა თუ ის მოსწავლე. მასწავლებლებისთვის ჩვენი კვლევის შედეგები ამ თვალსაზრისითაც ძალიან საჭირო დოკუმენტი იქნება. ფაქტობრივად, ეს იქნება გზამკვლევი, თუ როგორ გააგრძელოთ შემდგომში მუშაობა.

კვლევას საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო უძღვება ნინო პირველ კითხვაში, კომპონენტების მიხედვით გაიწერა კითხვის სფეროები. შემდეგ შეიქმნა ტესტურ დავალებათა ბანკი, ასე ვთქვათ, დიდი რაოდენობით ტესტური დავალებები, რომელთაგან თითოეული კითხვის ერთი კონკრეტული კომპეტენციის შემოწმებაზე იყო ორიენტირებული. ტესტური დავალებები ორჯერ გამოიცადა, რის შედეგადაც ზოგიერთი დაინახვნა, ზოგი გადაკეთდა, ზოგიერთზე საერთოდ უარი ითქვა. შემდეგ ჩატარდა ტესტის გამოცდა, რის შედეგადაც ის საბოლოოდ დაინახვნა. ჩატარდა ტესტირება, რომლის საფუძველზე მივიღეთ ემპირიული შედეგები, კვლევის შედეგები, რის საფუძველზეც შევიძლით ტესტური დავალებების სერთულის შექმნა და დაგება მიღწევის დონეების მიხედვით. ამას მოჰყვა სტანდარტის დადგენის პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ მასწავლებლები, სახელმძღვანელოების ავტორები, მეცნიერები და განათლების ფსიქოლოგები, ანუ საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტები. შემდეგ შეკურდა ემპირიული და ექსპერტული შედეგები. გამოიყო და აღინერა მიღწევის დონეები. როგორც ხედავთ, მთლიანობაში საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცედურა გავიარეთ.

2010 წლის შემოდგომაზე ყველა დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებელია ექნება, გაეცნოს დაწვრილებით ანგარიშს ჩატარებული ეროვნული შეფასების შესახებ, რომელშიც წარმოდგენილი იქნება კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ანალიზი, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ უკვე შეირჩა ტესტური დავალებები, რომლებსაც 4 წლის შემდეგ ტესტირებისას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ დავადგინოთ, რა შეიცვალა – პროგრესი გვაქვს, რეგრესია თუ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით.

აჭარა - ეროვნული კულტურის აკვანი

დასაწყისი ნ. №17

ადგილობრივი პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით, 1923 წელს, ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი. სტუდენტთა რიცხვი, 1925 წელს, 140-მდე აღწევდა. ისინი სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობდნენ. მათ შორის 14 აჭარელი ქალი იყო.

აჭარაში უმაღლესი განათლების ისტორია იწყება 1935 წლიდან, როცა გაიხსნა ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სწავლების ორნოლიანი ვადით. 1945 წელს აღნიშნული ინსტიტუტი პედაგოგიურად გადაკეთდა. სულ სამასწავლებლო და პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, 1935-1990 წლებში, განათლების სისტემას 15 ათასზე მეტი პედაგოგი მოუმზადა.

1921 წელს შეიქმნა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი. პირველი სახალხო კომისარი იყო თემურ ხიმშიაშვილი. მოგვიანებით იგი სელმან ლორთქიფანიძემ შეცვალა.

1923 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა 3 ტექნიკუმი: პირველი - ჰუმანიტარული, მეორე - ჰუმანიტარული და მესამე - ელექტრომექანიკური, რუსულ-ქართული სექტორით.

1923-1924 სასწავლო წლიდან დაწყებითი სკოლები გაიხსნა ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში, მერისში, ნონიარისში, ძენწმანში, მეძინაში, ალიქოლებში, ხულოს რაიონის სოფელ ლორჯომში, თხილვანაში, ოლადაურში, ფურტიოში, ტბეთში, უჩამბაში, ბელეთში, ფაჩხაში, ვანაძეებში, ქობულეთის რაიონის სოფელ კობში, აჭში, ქაქუთში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მარადიდში და სხვა სოფლებში. მათი რაოდენობა, რაიონების მიხედვით, ასეთ სურათს იძლევა: ქობულეთში - 30, ხულოში - 25, ქედაში - 18, აჭარისწყალ-ჭოროხში - 27 სკოლა.

დაწყებითი სკოლა ოთხნობიანი იყო. პირველი წელი მოსამზადებლად ითვლებოდა, ამიტომ საბავშვო ბაღის პროგრამით მუშაობდა. რვაწლიანი სკოლა ორი რგოლისგან შედგებოდა: I-IV და V-VII კლასები. რვაწლიანი სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებდა ტექნიკუმები 4-წლიანი პროგრამით. ტექნიკუმები ორი ტიპის იყო - სპეციალური და ჰუმანიტარული.

30-იან წლებში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების კანონის განხორციელების შედეგად სკოლების ფართო ქსელი კვლავ მოითხოვდა მასწავლებელთა კადრების დიდი რაოდენობით მომზადებას. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით გაფართოვდა პედაგოგიურ სასწავლებელთა ქსელი. 1935 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა 4 პედსასწავლებელი. 1938 წელს გაიხსნა ხულოს ქალთა პედსასწავლებელი, მომდევნო წლებში - აჭარისწყლის და ქედის პედსასწავლებლები.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამზადებლად, აჭარაში, გაიხსნა სხვადასხვა ტიპის საშუალო სპეციალური სასწავლებლები ე.წ. ტექნიკუმები. 1923 წელს, ბათუმში გაიხსნა ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1925 წელს - მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, 1928 წელს, ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი, 1929 წელს - ბათუმის სახლგაო სასწავლებელი, 1930 წელს - ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმი, იმავე წელს - ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი, ხოლო 1936 წელს - ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი.

40-იან წლებამდე აჭარაში ფუნქციონირებდა პედაგოგიური (ბერძნული) მუშათა სუბტროპიკული, მუშათა ინდუსტრიული, კომპერატიული სააღმშენებლო სასწავლებელი, საკომპერატიული და ნავსადგურის სააღმშენებლო ტექნიკუმები. ისინი გარკვეული რაოდენობის სპეციალისტებს უზრუნველდნენ აჭარის სახალხო მეურნეობას.

30-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარაში ძირითადად განხორციელდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლების კანონი.

1924 წელს, ბათუმში, დაარსდა მასწავლებელთა სახლი, რომელიც პედაგოგთა დასვენებისა და ცოდნის ამაღლების კერად იქცა.



ალექსანდრე ნანიშვილი



პაიძარ აბაშიძე



ალექსანდრე მგელაძე



ნადიმ ნიჭარაძე



ვახტანგ წულუკიძე



ნანი გუგუნიანი

1936-1939 წლებში ჩატარდა მასწავლებელთა ატესტაცია. სულ მოღვაწეობდა 1220 პედაგოგი. 960-მა მასწავლებელმა გაიარა ატესტაცია, მათ შორის მასწავლებლის პერსონალური ნოდება 790 პედაგოგს მიენიჭა. 100-მდე მასწავლებელი დაითხოვეს შეუფერებლობის მოტივით, ნაწილს მიეცა რეკომენდაცია.

1928 წელს შეიქმნა ბათუმის განათლების განყოფილება, რაიონებს კი თითო სასკოლო ინსტრუქტორის შტატი მიეცა. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სავალდებულო შეიქმნა განათლება უფასო და სათანადო ცოდნის მიცემის მიზნით, 1929 წელს, შეიქმნა ნორმ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური. 1933 წელს დაარსდა ბათუმის მოსწავლეთა პარკი. საფუძველი ჩაეყარა მოსწავლეთა საბანაკო სისტემას. 1933 წელს - კურორტ ბუშუმში, ხოლო 1975 წელს მთა ჩირუხში გაიხსნა პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკები.

მოსწავლეთათვის მეცნიერული, მხატვრული, მხარეთმცოდნეობითი და სხვა ინტერესების მიხედვით პირობების შექმნის და სათანადო ცოდნის მიცემის მიზნით, 1929 წელს, შეიქმნა ნორმ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური. 1933 წელს დაარსდა ბათუმის მოსწავლეთა პარკი. საფუძველი ჩაეყარა მოსწავლეთა საბანაკო სისტემას. 1933 წელს - კურორტ ბუშუმში, ხოლო 1975 წელს მთა ჩირუხში გაიხსნა პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკები.

1956 წელს შეიქმნა ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებანი - სკოლა-ინტერნატები, რომლებიც მრავალშვილიანი და ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახების შვილებს ემსახურებოდნენ. ბავშვთა კვება, ჩაცმვა-დახურვა, სწავლება უფასო იყო. პირველი სკოლა-ინტერნატი 1957 წელს გაიხსნა ხულოში, 1958 წელს - ბათუმში, 1959 წელს - ჩაისუბანში, კირნათში, მახუნცეთსა და ბათუმში (საღვთისმშობლის). ისინი მძლავრი ბაზის მქონე სასწავლო დაწესებულებებად იქცნენ. სამწუხაროდ, ეს საგანმანათლებლო კერები ვერ იქნა შენარჩუნებული.

მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადებისათვის ზრუნვამ შედეგი გამოიღო - 70-იანი წლებისათვის სკოლებში მომუშავე პედაგოგთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მკვიდრი იყო. თუ 1926 წელს აჭარაში არც ერთი აჭარელი მასწავლებელი ქალი არ იყო, 1970 წელს, მარტო ხულოს რაიონში, 700 მასწავლებლიდან 200-ზე მეტი ადგილობრივი ქალი ემსახურებოდა მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდას. 180-მდე პედაგოგს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ხოლო 400-ზე მეტს - აჭარის დამსახურებული მასწავლებლის. 1932 წელს მხოლოდ 68 მასწავლებელს ჰქონდა უმაღლესი განათლება, 1975 წელს - 3600-ს. გაიზარდა მეცნიერთა რაოდენობა. აჭარაში, 90-იანი წლებისთვის, 100-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი იყო. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იყო ცნობილი ქირურგი მამია კომახიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები არიან: ვახტანგ შამილაძე, ან გარდაცვლილი დავით ხახუტაშვილი, დურსუნ ბალაძე; დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები არიან: იური ბიბილიაშვილი, ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ ბარამიძე, მუშანა ფუტყარაძე, რეზო ჯაბნიძე და სხვ.

1990 წლისათვის, აჭარაში იყო 408 სკოლა (178 - საშუალო, 67 - რვაწლიანი, 162 - დაწყებითი), 67.701 მოსწავლელი და 7231 მასწავლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარაში პირველი საბავშვო ბაღი 1921 წელს გაიხსნა. 1930 წლიდან საბავშვო ბაღები გაიხსნა სოფლებშიც, ხოლო 1990 წლისათვის აჭარაში 156 საბავშვო ბაღი იყო, 11690 ბავშვით და 1127 აღმზრდელით.

განათლების სისტემის მართვა

1921 წელს შეიქმნა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი. პირველ სახალხო კომისარად დაინიშნა თემურ ხიმშიაშვილი. შემდგომ წლებში განათლების კომისარებად, 1946 წლიდან - მინისტრებად მუშაობდნენ: სელმან ლორთქიფანიძე, სულიმან ვარშანიძე, შვექეთ ვარშანიძე, ხუსეინ ნაკაიძე, ილიას ქათამაძე, ნადიმ ნიჭარაძე, ნიკოლოზ ნიჭარაძე, ირაკლი ნაკაიძე, ვახტანგ ახვლედიანი, დავით თებოძე, ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, სულიკო ინაიშვილი, ნანი გუგუნიანი, ანზორ შაქარიშვილი, ალექო გეგენავა, ალექსი ჩიკვაიძე. ამჟამად განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სათავეში უდგას მათე ტაკიძე.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიულ დაოსტატებას სამი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ემსახურებოდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტი. გაიხსნა 1969 წელს. დირექტორებად მუშაობდნენ: ნოდარ ქიქავა (1969-1978) და არჩილ იმხნელიძე (1978-2005). პროფესიული დაოსტატების ამ კერაში, ყოველწლიურად, 800-1000 მასწავლებელი იმალდებდა კვალიფიკაციას. საკურსო ღონისძიებების პარალელურად, იმართებოდა კონფერენციები, მეთოდური კვირეულები, მონინავე-საინოვაციო საქმიანობის შესწავლა-განზოგადების სერიალები, კონსულტაციები, ტრენინგები, შეხვედრა-დილოგები და სხვ., რაც დიდად უწყობდა ხელს პედაგოგებს სწავლების უახლესი მეთოდების დაუფლებასა და მეთოდურ დაოსტატებაში. სამწუხაროდ, უზარმაზარი გამოცდილების მქონე ინსტიტუტი დაიხურა და აჭარა-გურიის ათასობით მასწავლებელი მეთოდური სამსახურის გარეშე დარჩა.

1961 წელს შეიქმნა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება (ამჟამად პედაგოგთა კავშირი). პირველი პრეზიდენტი იყო ცნობილი პედაგოგი, მეცნიერ-აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე. აჭარაში პედსაზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო ღვანლმოსილი პედაგოგი და მკვლევარი გრიგოლ ბაბილოძე. შემდგომში, დიდი ხნის განმავლობაში, ამ ორგანიზაციის სათავეში ედგა პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე. საზოგადოება დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, მონინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებასა და ამაგდარ პედაგოგთა ღვანლის წარმოჩენაში.

აჭარის განათლების სამინისტროსა და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თაოსნობით, 50-იანი წლებიდან, ტარდებოდა „პედაგოგიური კითხვა“. ყოველწლიურად რაიონულ საქალაქო და აჭარის რესპუბლიკურ საინსტიტუტო-პედაგოგიურ კონფერენციებზე (პედაგოგთა კავშირის) 500-ზე მეტი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე მოხსენება იკითხებოდა, ხდებოდა მონინავე გამოცდილების გაზიარება, რაც დიდად უწყობდა ხელს პედაგოგთა გამოცდილების გაცნობას და პროფესიულ დაოსტატებას. სამწუხაროდ, ეროვნული ღირებულებების გადაფასება „პედაგოგთა კავშირის“ შეეხო და 2005 წლიდან აღარ ტარდება.



ეთერ ცივაძე



ელენე მელუა



იოსებ დიასამიძე

დამოუკიდებელმა საქართველომ განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის კარგი პირობები შექმნა. უფრო ადრე, სახელდობრ 1990 წელს, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ცოდნის ეს ტაძარი მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლოს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის მძლავრ კერას წარმოადგენს.

1991 წლიდან არაერთი უმაღლესი სასწავლებელი, კოლეჯი, ლიცეუმი, პროფესიული განათლების ცენტრი გაიხსნა. 1992 წელს შეიქმნა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი, რომელიც 1994 წელს საზღვაო აკადემიად გადაკეთდა. ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ბაზაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაფუძნდა.

1994 წლიდან, ბათუმში (მწვანე კონცხზე), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე, ფუნქციონირებს თბილისის აგარისული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამჟამად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაექვემდებარა ფაკულტეტის სახით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ათეულობით ეკლესია-მონასტერი აშენდა და შენდებოდა აჭარაში. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ პირველ საუკუნეში მიღებული სარწმუნოება - ქრისტიანობა აღიდგინა.

როგორც აღინიშნა, აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნით იწყება მისი აღორძინება. თუ როგორ წავიდა წინ განათლების საქმე, ამას ნათელს ჰფენს ასეთი ფაქტი: უკანასკნელი აღწერის მიხედვით, უმაღლესი განათლების პირთა რაოდენობით აჭარას, 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, პირველი ადგილი ეჭირა. მთიანი აჭარის სოფლებიდან არიან პროფესორები, დოქტორები, მეცნიერებათა კანდიდატები. მარტო ერთ პატარა შუახევის რაიონს 28 მეცნიერებათა დოქტორი და 100-მდე მეცნიერებათა კანდიდატი ჰყავს. ერთ სულ მოსახლეზე განაგრძობით, უმაღლესი განათლებულთა და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობით საქართველოში პირველ ადგილზეა.

ეჭვგარეშეა „ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი“, აჭარის რეგიონი, როგორც ადრე, ისე მომავალშიც კვლავ აღუზრდის ქვეყანას „გონებით და გულით გაღვივებულ“ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, პედაგოგებს, ექიმებს, ინჟინრებს, სპორტსმენებს, ხელოვნების მუშაკებს, გონებრივად განსწავლულ და სრულქმნილ მოქალაქეებს.

ნარკვევი მომზადდა ვახტანგ წულუკიძის, გრიგოლ ბაბილოძის, ეთერ ცივაძისა და სხვების ნაშრომების საფუძველზე

აპაქი ზოიძე საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, განათლების აკადემიური დოქტორი

საუბრაბი ბიზლიაზა

წმინდა სამება



რუბრიკას უძღვება როლანდ ჩხეიძე

ქრისტიანული ეკლესიის ღმერთი ღმერთია, რომლის რწმენაც და რომლის შესახებ ცოდნაც კაცობრიობამ ისტორიული გამოცდილების შედეგად მოიპოვა. ეს არ არის არსება, რომელსაც ადამიანმა მხოლოდ აბსტრაქტული ფილოსოფიური ვარჯიშებითა და გონების ჭვრეტით მიაკვლია. სწორედ ეკლესიურმა გამოცდილებამ გვიჩვენებს, რომ ღმერთი ერთ გამოჩენულ მონად (ბერძ. Monas – ერთეული; განუყოფელი) ან ინდივიდუალურ ბუნებად კი არ წარმოგვიდგება, არამედ ის არის სამება: სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული იპოსტასი ანუ პიროვნება და ამავე დროს, საერთო ნებითა და მოქმედებით გაერთიანებული ერთიანი ბუნება, ერთი არსება.

„სამება“ (Trias) არ არის ბიბლიური წარმოშობის სიტყვა. როგორც ქრისტიანული ტერმინი, პირველად II საუკუნეში ლირსმა თეოფანე ანტიოქიელმა გამოიყენა. სამება თავისი არსით საიდუმლოებრივი შინაარსის მქონე მცნებაა. ეს სწავლება, ერთი შეხედვით, თავის თავში გარკვეულ წინააღმდეგობებსაც მოიცავს და ამიტომ რაციონალურად აუხსნელი და ადამიანური მსჯელობისათვის მიუწვდომელია. მამა პავლე ფლორენსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: სამების დოგმატი „ადამიანური აზროვნების ჯვარია“. იმისათვის, რომ მისანვლოში გახდეს დოგმატის არსი, ადამიანმა უარი უნდა თქვას თავის ცოდვილ დასკვნებზე და რწმენაზე, რომ შეუძლია შეიცნოს და ახსნას სამების საიდუმლო, ანუ ადამიანი უნდა გათავისუფლდეს ყველა თავისი რაციონალური მიგნებისაგან.

წმინდა სამების მრწამსში აღმოცენებულ ქრისტიანობას ყველა მონოთეისტურ რელიგიათა (იუდაიზმი და ისლამი) შორის გამოჩენილი ადგილი აქვს მიუთვინებელი. სულელი ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამების საიდუმლოს შეცნობა მხოლოდ ნაწილობრივ შესაძლებელია და ეს მიზანი მხოლოდ ასკეტური შეუპოვრობით მიიღწევა. ვლადიმერ ლოსკი ბრძანებს: „აპოფატური (ტერმინს მოგვიანებით განემარტავთ) აღმასკლა გოლგოთაზე ამალეებაა, ამიტომ წმინდა სამების საიდუმლომდე ამალეება ვერც ერთი სახის ნიჭულატური ჭვრეტით ვერ მიიღწევა“. წმინდა ათანასე ალექსანდრიელმა თავის პირველ სიტყვაში არიანელების წინააღმდეგ ქრისტიანული რწმენა განსაზღვრა, როგორც „უცვლელი, სრულყოფილი და ნეტარი სამების რწმენა“. ვლადიმერ ლოსკი წერდა, რომ სწავლება სამების შესახებ „არა მხოლოდ საფუძველია, არამედ უმაღლესი მიზანია ღვთისმეტყველებისა, რადგან... წმინდა სამების არსის შეცნობა ღვთაებრივ ანუ თვით სამების ცხოვრებაში შეღწევის ნიშნავს“...

ის, რაც ღმერთის წყალობით ადამიანს ერთარსი წმინდა სამების შესახებ ღმერთს განუცხადდა, სამ ძირითად დებულებად წარმოგვიდგება: ღმერთი სამებაა და ეს ნიშნავს, რომ ღმერთში სამი პირია (იპოსტასი): მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა.

წმინდა სამების ყოველი პირი

ღმერთია, მაგრამ ეს არ არის სამი სხვადასხვა ღმერთი. სამება ერთარსი ღმერთია. სამების ყოველი წევრი გამოირჩევა თავისი პიროვნულობით, იპოსტასური თავისებურებით.

მართლმადიდებლური მოძღვრება ღმერთის შეცნობის შესახებ

მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით ღმერთი, როგორც ტრანსცენდენტური (შემეცნებისათვის მიუღწეველი), ისე იმანენტური (გარკვეულ მახასიათებლებში გამოვლენილი) სახით ადამიანისთვის მუდმივად არის განცხადებული. არის ასეთი გამოთქმა: „იმანენტურად ხილული ღმერთი, ტრანსცენდენტურად წარმოგვიდგება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთისაგან მომდინარე ენერგიებში ვლინდება მისი აბსოლუტური შეუვალლობა.

ჯერ კიდევ ქრისტიანობის გაჩენამდე, კერძოდ, ნეოპლატონისტებს კარგად ესმოდათ, რომ თავად ღმერთშივე ღმერთის ძიებას ადამიანი ბოლოს დუმისამდე მიჰყავს. ყველა სიტყვა და გამოთქმა, ყველა გაგება, რომელთა საშუალებითაც ადამიანი ღმერთის შემეცნებას ცდილობს, შეცნობის მიმდინარეობას უეჭველად ზღუდავს, რადგან გამოუთქმელის გამოთქმა და შემოუნერვლის გარემომონერა შეუძლებელია. მაგრამ მიუხედავად ამ თავისებურებებისა, გამოცხადების გარდა, მაინც არსებობს ღვთის შემეცნების ორი ურთიერთდაკავშირებული გზა.

პირველი – აპოფატური (apophatikus – უარყოფითი)


ანუ გზა, რომლის საშუალებითაც ღმერთს შევიმეცნებთ არა ისეთს, როგორც ის სინამდვილეშია, უფრო სწორად, როგორსაც ჩვენი წარმოდგენა შეიძლება მისწვდეს, არამედ მივყვებით იმ ცოდნას, რაც საშუალებას მოგვცემს ვთქვათ, რა არ არის ღმერთი. აპოფატური ღვთისმეტყველება ადამიანს ღმერთთან პირადი ძიების შედეგად მოპოვებული გამოცდილების საშუალებით აახლოვებს. ღმერთის ამ გზით მადიებელი მოსაგრე ცოცხალ ღმერთთან პიროვნულად შეგრძნობს ცდილობს. ასეთი ადამიანი ქმნილი სამყაროს სრულყოფილებას საკუთარ არსში იკვლევს. ხოლო მიკვლევს, ანუ ყველა იმ თვისებურებასა და ღირსებას, რაც ბუნებისთვისაა დამახასიათებელი, როგორც არასრულყოფილს, თანმიმდევრულად უარყოფს. ამ გზით მაგალი დიდი წმინდანები საკუთარი გონებიდან საბოლოოდ განკვეთდნენ ყოველგვარ წარმოდგენას, რომელიც შეიძლება ადამიანს ღმერთის შესაქმის შედეგად წარმოქმნილი მატერიალური და სულიერი ქმნილების შესახებ ჰქონდეს. ისინი უარს ამბობდნენ ისეთ მაღალ მცნებებზე, როგორც არის სიყვარული, სიბრძნე და ყოფიერება.

ღმერთისაკენ აპოფატურად აღმავალი გზა ასკეტური გზაა, რომელიც ადამიანისაგან სრულ განწმენდას მოითხოვს და ექსტაზის მდგომარეობაში მყოფ სრულყოფილ ასკეტს იდუმალებით მოცულ მდინარეებში ღმერთთან შეკავშირების საშუალებას აძლევს.

ცოდნა, რომელსაც ადამიანი ექსტაზურ მდგომარეობაში ღმერთისაგან მიუწვდომელი სიკეთის შემეცნებას. სწორედ ამის გამო წმინდა წერილი, ღმერთს მხოლოდ დადებითი მტკიცებულებებით გვიხატავს და იმ სახელებით იხსენიებს, რომლებითაც სამყაროს უფალი თვითონ წარმოუდგენს საკუთარ არსს. განუჭვრეტელი ღვთაებრივი უჩინი, კატაფატურ ჭვრეტაში, სიკეთის იმ ხვავრიელ ბრწყინვალე-

რეობა არასაკმარისია ამ შეგრძნებების გადმოცემისა და შემეცნებისათვის. სწორედ ამიტომ, ასეთი გამოცდილების გაზიარება მხოლოდ უარყოფის გზით არის შესაძლებელი, ისე როგორც ეს მოციქულმა პავლემ განახორციელა:

„მამ, უფლის ხილვებსა და გამოცხადებებს მივუბრუნდები. ბრძანებს პავლე მოციქული, და აგრძელებს, ვიცი ერთი კაცი ქრისტეში, რომელიც ამ თოთხმეტი წლის წინათ (არ ვიცი, სხეულით თუ უსხეულოდ, ღმერთმა იცის) ატაცებულ იქნა მესამე ცამდე; და ვიცი ამ კაცისა (მხოლოდ არ ვიცი, სხეულით თუ უსხეულოდ, ღმერთმა იცის), რომ ატაცებულ იქნა სამოთხეში, სადაც ისმინა ენითუქ-



მელი სიტყვები, რომელთა წარმოთქმის ნებაც არა აქვს კაცს“ (2 კორ. 12:24). აქ პავლე მოციქული რა თქმა უნდა საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს და ხაზს უსვამს, რომ ნახა ის, რაც თვალს არ უხილავს, მოისმინა ის, რაც არ სმენილა და შეიგრძნო ის, რაც გულს არასოდეს შეუგრძნია.

მართლმადიდებლური დოგმატიკა გვასწავლის, რომ ღმერთი უბრალოდ რაიმე არსება კი არ არის (როგორც არაქრისტიანი მისტიკოსები ფიქრობენ), არამედ პიროვნებაა, რომელიც ადამიანს საკუთარ არსს ცალკეულ მოქმედებებსა და ენერგიებში თავადვე წარმოუდგენს. ღმერთის ქმედებები შესაძლებელს ხდის, ადამიანმა მისი შეცნობა შეძლოს, მაგრამ ყოველი ახალი საფეხურის მიღმა მუდმივად ჩნდება, შეცნობის სხვა სივრცეები და ამასთან, შემეცნების ახალი შესაძლებლობები.

ღმერთის შემეცნების მეორე – კატაფატური (kataphatikus – მტკიცებითი) გზა.

ღმერთი თავისი არსით ადამიანისათვის მიუწვდომელი სიკეთის შემეცნება. სწორედ ამის გამო წმინდა წერილი, ღმერთს მხოლოდ დადებითი მტკიცებულებებით გვიხატავს და იმ სახელებით იხსენიებს, რომლებითაც სამყაროს უფალი თვითონ წარმოუდგენს საკუთარ არსს. განუჭვრეტელი ღვთაებრივი უჩინი, კატაფატურ ჭვრეტაში, სიკეთის იმ ხვავრიელ ბრწყინვალე-

ბად წარმოგვიდგება, რომლის სხივებშიც ყველაფერი ზეიმური და ხარებულია. მხოლოდ ღმერთის ენერგიებით შთაგონების შედეგად წარმოიქმნა სიტყვები, რაც ადამიანმა ღმერთის ბუნებაში დღემდე მიიკვლია. მაგალითად, ასეთებია: სიკეთე, სიყვარული, სიბრძნე, სილამაზე, ცხოვრება, ჭეშმარიტება და სხვ. რათა წარმოვიდგინოთ თავისი ნამდვილი შინაარსით, რა აზრის მატარებელია ეს ზედსართავი სახელები, მოვიშველიებთ მათეს სახარებას, სადაც იესო ქრისტეს... „ვილატ მიუახლოვდა და უთხრა: კეთილი მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს? ხოლო მან მიუგო: რად მეკითხები სიკეთის გამო? არავინაა

საკითხია, ძნელია განისაზღვროს, მოცემულ კონტექსტში რა აზრს მოიცავს სამების არსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი „პირი“, ანუ იპოსტასი. ადამიანური აზროვნებისათვის უფრო ძნელად ჩასანვლოდომია იმ ურთიერთკავშირის შინაარსი, რომელიც ამ პირებს, ანუ იპოსტასებს შორის მოქმედებს. სწორედ ამიტომ, ადამიანური გონის დასახმარებლად, წმინდა მამები, ქმნილი სამყაროში უქმნილი სამების ბუნების ამსახველ ანალოგიებს ეძებდნენ.

მაგალითად: მზე, მისგან მომდინარე ნათელი და სითბო; სათავე, სათავედან მომდინარე წყარო და შემდეგ უკვე მდინარე; კვერცხი შედგება: გულისაგან, ცილისაგან და ნაჭუჭისაგან, ანდა წყალი შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც ყინული, ორთქლი და წყალი.

მაგრამ ყველა ეს ანალოგია თავისი შინაარსით არასრულფასოვანია. მაგალითად, მზე ასხივებს სითბოს და ნათელს, მაგრამ ეს დროებითი პროცესია და უსასრულობას ვერ განასახიერებს; სათავე, წყარო და მდინარე მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით განიყოფა, თორემ ერთი მთლიანობაა; წყალი კი არ შეიძლება ერთდროულად მყარიც, თხევადიც და გაზიც იყოს. ამასთან, ყველა ამ ანალოგიაში ერთარსობა უფრო ნათლად გამოკვეთილი, ვიდრე სამპიროვნულობა. ბასილი დიდი ანალოგიის ყველაზე კარგ მაგალითად ცისარტყელას მიიჩნევს და ბრძანებს: „ერთი და იგივე ნათელი საკუთარ არსში უწყვეტად და მრავალფეროვანად...“ „მრავალფეროვი იკვეთება მთლიანობის სახე – განაგრძობს იგი – ამ ფერთა და სხივთა შორის ვერც საშუალები ვამჩნევთ და ვერც ზღვარს. ნათლად ვხედავთ განსხვავებას და განსხვავებულებს შორის ვერ ვზომავთ მანძილს. საბოლოოდ ეს მრავალფეროვნება ერთ სითეთრედ გარდაიქმნება, მრავალ სახეში ერთარსობა ასე ვლინდება.“

ამ ანალოგიის ნაკლი კი ის არის, რომ სპექტრის ფერები დამოუკიდებელ პირებს არ წარმოადგენენ. საერთოდ წმინდა მამები დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ წმინდა სამების ანალოგიების ძიებას. II-III საუკუნეების ცნობილი ღვთისმეტყველი ტერტილიანე წერდა, რომ წმინდა სამების საიდუმლოს ღმერთი გვიცხადებს და ის ადამიანის მიერ ჩამოყალიბებულ სქემებში არ იხსნება. მარტივი ადამიანური თვალსაზრისით მისი შინაარსი იმდენად აბსურდულია, რომ ასეთს ადამიანი ვერასოდეს მოიფიქრებდა. სამების სწავლებას იმის გამო კი არ ვყვრდებით, რომ მასში ჩვენთვის ყველაფერი ნათელი და ლოგიკურად ადვილი ასახსნელია, არამედ იმის გამო, რომ სამებაში გამოგვეცხადა ღმერთი ისეთად, როგორც ის ჭეშმარიტად არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამ სწავლების შესახებ არის ნათქვამი:

შეეცადე განმარტო ეს დიდი ჭეშმარიტად ჭეშმარიტება და გონს დაეკარგება;

შეეცადე უარყო ეს სიკეთე და ჭეშმარიტება და საკუთარი სული დაგეკარგება.

წმინდა სამების ანალოგიის ძიების მცდელობები

სამების შესახებ სწავლების ფორმულირების პრობლემა მხოლოდ ტერმინოლოგიის სწორად გაგებაში კი არ არის, თუმცაღა თავისთავად ესეც საკმაოდ რთული

წმინდა სამების ანალოგიის ძიების მცდელობები

სამების შესახებ სწავლების ფორმულირების პრობლემა მხოლოდ ტერმინოლოგიის სწორად გაგებაში კი არ არის, თუმცაღა თავისთავად ესეც საკმაოდ რთული

წმინდა სამების ანალოგიის ძიების მცდელობები

ნორჩი მესწიერები მეოთხედ შეიქრიბნენ



შერატონ მეტეხი პალასში ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მე-4 საერთაშორისო ოლიმპიადის გახსნა, რომელიც ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის მხარდაჭერით. სამდღიანი ოლიმპიადის ორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩალარის“ სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, ევროკავშირი-ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში; ტრადიციული სპონსორია „ჯეოსელი“; საინფორმაციო მხარდაჭერი – საზოგადოებრივი მაუწყებელი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩალარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარემ ადემ ონალიმ აღნიშნა, რომ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადამ ტრადიციული ხასიათი მიიღო. 2007 წლიდან მოყოლებული უკვე მეოთხედ ტარდება. წლეულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 33 განაცხადი შემოვიდა და 25 ქვეყნის წარმომადგენელი ჩამობრძანდა.

„ჩვენს მონაწილეებს მასპინძლობენ ქართული ოჯახები, სადაც გაეცნობიან ქართულ კულტურას, სამზარეულოს. ისინი დაინახავენ ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობას, რის შედეგადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მივიღებთ საქართველოს მოყვარულ ადამიანებს. სწორედ ეს ურთიერთობა

წინაპირობა იმისა, რომ მსოფლიოში მშვიდობა და დაცვა იქნება. – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, – სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს მსგავს ოლიმპიადებს, რადგან ასეთი კონკურსების მეშვეობით ბავშვებს ნიჭის გამომავლის საშუალება ეძლევათ.“

თურქეთის ელჩმა საქართველოში ლევენტ მურათ ბურჰანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, საორგანიზაციო კომიტეტსა და პროფესორ გიული ალასანიას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფორმა „ჯეოსელს“, „ჩალარის“ სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას, რომელმაც ოლიმპიადის ტრადიციული ხასიათი მისცა. „ყველაზე დიდ პატივისცემას კი მოსწავლეები, ნორჩი გამომგონებლები და მათი პედაგოგები იმსახურებენ. ამ ახალგაზრდებმა შესაძლოა მომავალი მსოფლიოს ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა“ – აღნიშნა ბატონმა მურათ ბურჰანმა.

ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი პეტრე მეტრეველი, კომპანია „ჯეოსელის“ გენერალური დირექტორი ოსმან თურანი, საქართველოს პარლამენტის წევრი შოთა მალაშხია, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე.

შათიკ დემირი
საინფორმაციო სააგენტო „იმედის“ დირექტორი

სასკოლო პროექტები



ლეობდნენ მოსწავლეები: სოფო თორაძე, ანა მგელაძე, ანასტასია გეგეჭკორი, გიორგი ცხადაძე, გურამ ტინჭარაული. ბიბლიოთეკაში, ასევე, შედგა მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელნაწერი ნიგნების – „ძველი თბილისი“ და „აზნაუტები“ პრეზენტაცია.

სკოლის დირექტორმა ირმა ხუციშვილმა სიგელებით დააჯილდოვა გამარჯვებული მოსწავლეები: ანი ნიჭაბაძე, ქეთევან ნოზაძე, ეკატერინა შავიძე, მარიამ ვაგინა, ოთარ მჭედ-ლიშვილი, თეკლა ვარდოსანიძე, ნინო კელენჯერიძე.

ლონისძიებს ესწრებოდნენ: თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნათელა ურუშაძე; ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ეროვნული გალერეის დირექტორი ლია გორგაძე; ხელოვნებათმცოდნეები და სკოლის პედაგოგები.

ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ საინტერესო ლექცია წაიკითხა ხელოვნების შესახებ და მოსწავლეებს თავისი ნიგნი – „უჩვეულო თეატრალური ლექსიკონი“ უსახსოვრა.

ნინო ალექსიძე
47-ე სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელი

თბილისის 47-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – ირმა ხუციშვილი) ესთეტიკური აღზრდის კათედრის (კათედრის ხელმძღვანელი – ნინო ალექსიძე) პროექტების პრეზენტაცია შედგა. პროექტების თემატიკა მრავალფეროვანი იყო, ხოლო მიზანს წარმოადგენდა სახელოვნებო დარგის საგანთა ეფექტური სწავლება და კულტურის პოპულარიზაცია. სასკოლო პროექტები სკოლის დირექციის დაფინანსებით და ხელშეწყობით განხორციელდა.

47-ე სკოლის განახლებულ ბიბლიოთეკაში ფოტოარქივი გაიხსნა. მოსწავლეებმა მოიძიეს და რესტავრაცია გაუკეთეს ძველი თბილისის, მთაწმინდის უბნის და სკოლის ისტორიულ ფოტოებს, შეისწავლეს მათი ისტორია. სკოლაში გაიხსნა მუდმივმოქმედი ფოტოგამოფენა. ფოტოპროექტი მონაწი-

მასწავლებლობა მარტო მძიმა ტვირთი როდია...

182-ე საჯარო სკოლა არსებობის 15 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთსულოვნებამ ბევრი სასიკეთო საქმე წარმატებით დააგვირგვინა. მაგრამ სკოლას დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება საბასეული „სიტყვა საქმიანი“ და „საქმე სიტყვიანი“.

ჩვენი სკოლა მონოდებულია, შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც იძლევა საშუალებას, მოზარდმა მიიღოს მაღალი დონის განათლება და უზრუნველყოფს: ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარ უფლება-მოვალეობებს გაცნობიერებული, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეებსაც კარგად აქვთ გააზრებული სკოლის როლი თავიანთ ცხოვრებაში. X კლასის მოსწავლეებს ერთი მარტივი შეკითხვა დაუსვი: „რას გაძლევთ სკოლა?“ აი, როგორი პასუხები მივიღე: „სკოლამ მასწავლა სიყვარული, ერთგულება და სიკეთე...“ „სამშობლო სკოლიდან იწყება...“ „ის, რასაც სკოლა იძლევა, სამშობლოს მომავალს ქმნის...“ „სკოლამ მასწავლა შავისა და თეთრის გარჩევა...“

სკოლის უმთავრესი ამოცანაა, ყოველ მოსწავლეს აღმოაჩინოს და განავითარებინოს მასში არსებული ნიჭი. ვცდილობთ, შევქმნათ მოსწავლეთა აკადემიური, შემოქმედებითი თუ სპორტული ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, სხვადასხვა წრეებისა თუ სექციების ამოქმედებით.

თითოეულ კათედრასთან შექმნილია შესაბამისი საგნობრივი წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კვალიფიციური პედაგოგები და რომლებიც საშუალებას აძლევს ამა თუ იმ საგნით დაინტერესებულ მოსწავლეებს, გაიღრმავონ ცოდნა და გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარები. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს: ფასიანი ქორეოგრაფიული წრე; დრამული (ხელმძღვანელები: ტარიელ ქართველიშვილი და ესმა ხინაღიშვილი); საცურაო აუზი, რომლითაც ჩვენი სკოლის ბავშვები შეღავათობენ სარგებლობენ. მოსწავლეები ჩაბმული არიან კალათბურთის, ფეხბურთის წრეებში და არაერთი წარმატებითაც გაეუხარებიათ.

სკოლისათვის იმაზე დიდი სიხარული არ არსებობს, ვიდრე საკუთარი მოსწავლის წარმატება. და თუ მოსწავლეს ეცოდინება, რომ მის წარმატებას უყურადღებოდ არ ტოვებენ, მერწმუნეთ, ეს დიდი სტიმულია მისთვის.

ამიტომ ტრადიციად დამკვიდრდა წარჩინებული მოსწავლეების მშობლებისათვის „მადლობის ბარათების“ დაგზავნა; შემოვიღეთ „წლის საუკეთესო მოსწავლის“ სტატუსი; ყოველწლიურად ვაჯილდოვებთ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით სასკოლო ღონისძიებებსა თუ საგანმანათლებლო ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს.

მიმდინარე სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში ჩვენი სკოლის 21-მა მოსწავლემ გაიმარჯვა. სკოლის ადმინისტრაციამ შეხვედრა მოუწყო გამარჯვებული მოსწავლეების მშობლებსა და პედა-

გოგებს. გულთბილი სიტყვებისა და მილოცვის შემდეგ წარმატებულ მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ. სკოლის დირექტორი, ბატონი არჩილ ჩხაიძე, მათ სიურპრიზსაც დაჰპირდა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის II ტურიდან III-ში გადავიდა 7 მოსწავლე, ამათგან ერთი – მეთორმეტეკლასელი ნინო მიშვიძე საუკეთესო ათეულში მოხვდა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

შეხვედრა მოუწვევით აგრეთვე სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებსაც. მათ გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები. „ანა ფრანკის დღიური“ – ეს შესანიშნავი ნიგნი 14 პირველ ადგილზე გასულ მოსწავლეს გადაეცა.

დაპირებული სიურპრიზიც მალე გამჟღავნდა – 12 მაისს სასკოლო და ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებზე გამარჯვებული ბავშვები და მათი მასწავლებლები წინანდლობი გავემგზავრეთ. ექსკურსია სკოლის ბიუჯეტთან და დაფინანსდა, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

დავთვალთქვეთ ჭაჭაჭაძეების მამული, სახლ-მუზეუმი, სალვადორ დალის გამოფენა. მოსწავლეები ინტერესით ისმენდნენ ექსკურსიამძღოლის სიტყვებს, აკეთებდნენ ჩანაწერებს, იღებდნენ სურათებს... წინ კი ახალი სიურპრიზი ელოდათ.

ეს სიურპრიზი ალავერდი აღმოჩნდა. ტაძრის ეზოში შესვლისას მოსწავლეები გაოცებას ვერ მალავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი გარედან ხარაჩოებშია ჩასმული, თავისი დიდებულება და ხიზი მიიხსნის არ დაუკარგავს. შიგნით შესვლას კიდევ უფრო საინტერესო სანახაობა გველოდა: XIX ს-ის 40-იან წლებში რუსული საეკლესიო ხელისუფლების მიერ შეეთერთებული კედლები გაუნმეწინაოდა და საღებავის ქვეშ აღმოჩენილა ფრესკები, რომლებიც მნახველს აჯადოებს თავისი სილამაზითა და დიდებულებით. მოსწავლეების ყურადღება მიიპყრო ქრისტეს ამაღლების კომპოზიციამ, რომელიც ისეთივე დიადია, როგორც თავად ტაძარი.

შემდეგ გამოვიარეთ იყალთოში. მოსწავლეებმა დაათვალიერეს იყალთოს მონასტერი და აკადემია. სამწუხაროდ, ჩვენამდე არც მონასტრის ეკლესიებს და არც ოდესღაც დიდებული აკადემიის ნაგებობას სრული სახით არ მოუღწევიათ. მათაც იგივე ბედი ეწიათ, როგორც საქართველოს სხვა ტაძრებს. XIX ს-ში კირის ხსნარით შეუთეთრებიათ, აკადემიის შენობას კი უამთა სიავის ხელი დასტყობია. აქაც აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

ამ მოგზაურობაში მოსალამოვდა კიდევ ბავშვებს თბილისში დაბრუნება აღარ უნდოდათ. მათი მრავლისმეტყველი და სხივჩამდგარი თვალები მასწავლებლებს დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

მასწავლებლობა მხოლოდ მძიმე ტვირთი რომ იყოს, ალბათ, ვერავინ გაუძლებდა. მისი ტარება სასიამოვნოცაა. მასწავლებლობა იმისთვისაც ღირს, რომ ბავშვების ანთებულ თვალებს უყურო.

ლირა ზუზიაშვილი
182-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე



პროფესიონალთა კლასი

როსა ამაბი გიფასდება

საქართველო ოდითგან მრავალეროვანი ქვეყანა იყო. ღვთისკურთხეულმა ჩვენმა მინა-წყალმა ყველა ეროვნების ხალხს გაუღო კარი და შვილებად მიიღო. მათ სიყვარულს სიყვარულით უპასუხეს და სამშობლოდ საქართველოს თვლიან. ეთნიკური უმცირესობის ბევრმა წარმომადგენელმა ასახელა საქართველო თავისი სამსახურებრივი, სამეცნიერო თუ სპორტული მიღწევებით, თავდადებული სამსახურით ქვეყნისადმი.

ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი უნდა გაგაცნოთ - პედაგოგი, აზერბაიჯანელი ელმირა ახუნდოვა, რომელიც უკვე 35 წელიწადია, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ასწავლის აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურას. ქალბატონი ელმირა თბილისში, ორთაჭალაში, პედაგოგ რიზაკულუ ახუნდოვის ოჯახში დაიბადა. მამამისთვის მისაბაძი პროფესია იყო.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის 73-ე საშუალო სკოლა. ჰყავდნენ მეგობრები - ქართველებიც და რუსებიც. სკოლაში სწავლის პერიოდში ყველაზე ძალიან დაწყბითი კლასის პედაგოგი გულარა ალიევა უყვარდა, ვინც წერა-კითხვა ასწავლა და შეაყვარა.

მერვე კლასში იყო, როცა გადაწყვიტა, მამის პროფესია აერჩია და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გამხდარიყო. 1970 წელს ჩაირიცხა ყოფილი ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, დაამთავრა 1975 წელს და განაწილებით, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა. მალე ოჯახიც შექმნა - ცხოვრება აიდინ ოჯახევერდიევს დაუკავშირა. შეეძინათ სამი შვილი: აიაზი, ვუკარ და სევიჯ ოჯახევერდიევი.

ქალბატონია ელმირა ყველას უყვარს - პედაგოგებიც, მოსწავლეებს, აღსაზრდელთა მშობლებს, ნამონაფრებს, მეზობლებს... სკოლის დირექციის დახასიათებით, იგი კვალიფიციური პედაგოგი და არაჩვეულებრივი ადამიანია. მისი გაკვეთილები ერთმანეთს არ ჰგავს. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საინტერესო გახადოს თავისი საგანი, მეტად შეაყვაროს მოსწავლეებს მირზა ფათალი ახუნდოვის, ანარ ზაევის, მაქსუდ იბრაგიმბეკოვისა თუ მამედ კულიზადეს შემოქმედება. სულ სიახლეების ძიებაშია. სახლში შესანიშნავი ბიბლიოთეკა აქვს. მშობლიურ ენებზე ქართულსა და რუსულს მიიჩნევს, კარგად იცნობს ორივე ქვეყნის მწერლობას.

ძალიან უყვარს პრესა. დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა გაზეთებში - „ზარია ვოსტოკა“ და „სოვეტ გურჯისტან“ და ჩრდილო მდგომი კარგი ადამიანების წარმომჩენი იყო.

საყვარელი საქმისამი თავდაებული ადამიანები ხშირად თავმდაბალი არიან, არ უყვართ საკუთარ თავზე საუბარი. ჩუმად, უხმაუროდ ემსახურებიან ქვეყანასა და ხალხს. მათი ჯილდო საყოველთაო სიყვარულია. ელმირა მასწავლებელი ბედნიერია, როცა მისი მოსწავლეები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ და გზასავალს წარმატებით იკვლევენ. მისი უამრავი ნამონაფარი გახდა პედაგოგი, ექიმი... ბევრი უკვე სამეცნიერო ხარისხის მფლობელია. ისინი არასოდეს იფიქრებენ საყვარელ მასწავლებელს, მათგან მუდმივად გრძნობს ყურადღებას, სიყვარულსა და მადლიერებას. თავს მათ წინაშე ვალმობდელ ადამიანად მიიჩნევს, რადგან ამაგი უფასდება. ბევრმა ახალგაზრდამ მისი პროფესია აირჩია.

ელმირა მასწავლებელი რომ გავიცანი და გავესაუბრე, მაშინვე მივხვდი, რა დიდებულ ადამიანთან



მქონდა საქმე. მის ნამონაფრებს, კოლეგებს, დირექციის ვთხოვე მის შესახებ აზრის გამოთქმა - ყველა შეფასება უაღრესად დადებითი იყო. მიხარია ასეთი ადამიანი რომ გავიცანი და ამ წერილით შევეცადე, ეს ქალბატონი თქვენთვისაც გამეცნო.

ლელია არჩვაშვილი

ინფორმაცია

„აისი“ 10 წლისაა

14 მაისს, კერძო სკოლა „აისმა“ 10 წლის იუბილე იზეიმა. მოსწავლეებმა ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: ფილოლოგები - ფიქრია ჩხარტიშვილი, ნინო თევზაძე და ლალი ქათამაძე, მუსიკალური გაფორმება სოფო შალვაშვილს ეკუთვნოდა, ქორეოგრაფია - სალომე ქადარია. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის შესახებ, გაიხსენეს ქართველი მწერლები და პოეტები, ნაიკითხეს ლექსები და ნაწყვეტები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან.

იანა ტორჩინავა, კერძო სკოლა „აისის“ დირექტორი: „დღეს ჩვენი სკოლა 10 წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშნავს. სკოლაში სხვადასხვა ეროვნების, აღმსარებლობის მოსწავლეები სწავლობენ. 10 წელია, მუხლჩაუხრელად ვშრომობთ. მიღწეული წარმატებებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საიმედო მომავლის აღზრდას ვემსახურებით. ვფიქრობ, საზოგადოებაში სიყვარული და პატივისცემა დაეიმსახურეთ. სკოლაში 157 მოსწავლე სწავლობს, წელს 23 მე-



თორმეტკლასელი ამთავრებს, დღეს ისინი სკოლის იუბილეს ჩვენთან ერთად აღნიშნავენ“.

ლონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის მოძღვარი მამა ალექსანდრე ბოლქვაძე, დახელოვნების ინსტიტუტის წარმომადგენელი ოლეგ ალავიძე, პედაგოგიკის მეცნიერე-

ბათა დოქტორი ლევან ასათიანი, სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ლევან ჯინჯიხაძე, პოეტი ერეკლე სალიანი და სხვ. სტუმრებმა სკოლას იუბილე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

მათი ჯოხაძე



„მამულსა საფერხელსა და სადღებრძელსა“

11 მაისს, ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის მეხუთე საჯარო სკოლაში, IV კლასმა ჩაატარა ღონისძიება, თემაზე - „მამულსა საფერხელსა და სადღებრძელსა“. ზეიმს სკოლის პედაგოგები და მოსწავლეების ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

როგორც კლასის ხელმძღვანელი ლია აწყურელი განმარტავს, ეს იყო შემაჯამებელი ღონისძიება. მოსწავლეებმა ის ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს, რაც ოთხი წლის განმავლობაში შეიძინეს.

ზეიმი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ქართულად, მეორე კი რუსულად წარიმართა.

ხალხური ცეკვებისა და სიმღერების გარდა, სცენიდან ისმოდა ლექსები და ამონარიდები პატრიოტულ თემაზე, სარწმუნოებაზე, სახელმწიფო ენასა და მასწავლებლის როლზე. ერთი საათის განმავლობაში 28 მოსწავლე პატრიოტული ლექსებით გამოხატავდა სამშობ-



ლოს სიყვარულს. გარდა ამისა, პატარებმა სცენაზე გააცოცხლეს ეპიზოდები უკვდავი ნაწარმოებებიდან: ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, იაკობ გოგებაშვილის „ბერიკაცი და ნამყენი“ და რუსული ხალხური ზღაპარი „კოკოჩინა“.

ლია აწყურელი ამბობს, რომ პატარები ღონისძიებისთვის დაახ-

ლოებით სამი კვირის განმავლობაში ემზადებოდნენ. ცეკვების შესწავლა არ გასჭირვებიათ, რადგან მოსწავლეების თითქმის ნახევარი ქორეოგრაფ სამსონ მენაბდიშვილის მოსწავლეა.

ღონისძიების რუსული ნაწილი ჰაიგუმ არევიანის ორგანიზატორებით მომზადდა, მუსიკალური მხარე კი მარინა მჭედლიძემ და

მაია მაისურაძემ უზრუნველყვეს.

ღონისძიების დასასრულს, კლასის ხელმძღვანელმა ლია აწყურელმა პატარებს ოთხი კლასის დამთავრება მიულოცა, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება და წარმატებული მომავალი უსურვა და მათთან ერთად შეასრულა გამოსამშვიდობებელი სიმღერა „გზა დავგილოცეთ“.

ნინო საყვარელიძე

სრურნმენების მხილება

თაყუნა შარაშია ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

„ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შიგან იყუნენ მგელ მტაცებელ“ (მთ. VII, 15).

ქართველი ხალხი მართლმადიდებლური ტრადიციების მიმდევარი და დამცველია, მაგრამ საუბედუროდ, ირგვლივ მრავლად არიან ადამიანები, რომელნიც ბოლომდე ვერ გარკვეულან, სად არის ზღვარი რწმენასა და ცრურწმენას შორის. ეს ნაშრომი არის მცდელობა საქართველოში და კერძოდ, სამეგრელოში გავრცელებულ ცრუმორწმუნეთა გაშუქებისა და მხილებისა. ეს ჩვენი თაობის მოვალეობაა, რათა მცირეოდენი წვლილი მიიწვ შევიტანოთ საქართველოს სულიერ გაბრწყინებაში. ნათქვამია: „მოყვარეს პირში უძრახე“. სიმართლეს ადამიანმა უნდა გაუსწოროს თავად.

საქართველო უძველესი მართლმადიდებელი ქვეყანაა. ჩვენ, ქართველებს, წინაპრებიდან მოგვდგამს დაცვა ერისა და სარწმუნოებისა. ადამიანი ვერ წარმოიდგენდა წმინდა მეფეების: მირიანის, ვახტანგის, დემეტრეს, დავითის, თამარის შემდეგ საქართველოს სულიერად და მატერიალურად დაცვას. იყო დრო, როდესაც ქართველს ქართველობა ეამაყებოდა, სხვა ერები ჩვენთან დანათესავებასა და დაკავშირებას ცდილობდნენ. ახლა კი ისე დავეცი, ისე გავწინადგურდით, რომ იმის აღქმაც კი არ შეგვიძლია, რა მდგომარეობაში ვართ. ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ საქართველო დასცილდა ღმერთს. ქართული მართლმადიდებლური სულისკვეთება თანდათან კლებულობდა და, როგორც ისრაელი მოსეს წინასწარმეტყველის დროს ღვთის დავინყებინას უფლის რისხვას იმსახურებდა, ასევე დაეპართა საქართველოსაც – გაირყვნა და დაიქსაქსა. იყო სამსაუკუნოვანი მონღოლთა ბატონობა, ბატონობა თურქთა, ოსმალთა. ჩვენი სამშობლო ისე განაწილებულა და დაქინებულა, რომ ვინმეს უნდა შეეკედლებოდა. ერეკლე მეფემ, 1783 წელს, ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, საქართველო რუსეთს შეუერთდა. გაუქმდა მონარქია, ავტოკრატია, დაიხურა ეკლესიები და, თუ წინააღმდეგობა არააჩივრებული მოქმედებანი. ხალხი იმ დონემდე მივიდა, რომ წყევლა-კრულვა მართლმადიდებლობად მიაჩნდა. ამას მოჰყვა „ოხვამურები“ და „გადაბლოცვლები“.

საქართველოს ფიზიკურმა და სულიერმა დაცვამ განაპირობა ის, რომ მთელ ქვეყანაში გავრცელდა წარმართული ჩვეულებანი. დრო მანკიერების მაცნედ იქცა. ადამიანი თვითონ იგონებდა „მცნებებს“ და თავისი თავის უფალი ხდებოდა. ყოველივე ამას ღვთის მორჩილებას უწოდებდა. მეგრული ცრუმორწმუნეობის წესების აღწერისას შევეცდებით, დავიცვა მათი შესარღობის კალენდარული თანმიმდევრობა. თანაც, მივნიდა აღვნიშნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა კვირის დღეების მეგრულ სახელწოდებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მნათობთა თავყვანისცემასთან.

მეგრულში კვირის დღეების სახელწოდებანი წარმართულია: კვირა, ანუ ყაშხა იყო მზის დღე, ორშაბათი (თუთაშხა) – მთვარისა, სამშაბათი (თახაშხა) – მარსის, ოთხშაბათი (ჯუშაშხა) – მერკურის, ხუთშაბათი (ჯამხა) – ვენერას, პარასკევი (ობისხა) – იუპიტერის, შაბათი (საბატონი) – კრონოსის. ამასთანავე მათ ბერძნული მითოლოგიის ღმერთების სახელებიც ერქვათ: ათენა, ჰერმესი, აფროდიტე, ზევსი... თახა, როგორც

რომაული მარსი, ბროძლისა და ომიანობის ღმერთი უნდა ყოფილიყო, ჯუშა ჰერმესის ან მერკურის მსგავს ღვთაებას წარმოადგენდა და სხვ. ერთი სიტყვით, მეგრულ შვიდეულში დაცულია წარმართთა ღვთაებების სახელები და მათ თავყვანისცემად, კვირეულის ამა თუ იმ დღეებში, სადღესასწაულო რიტუალი იმართებოდა. მეგრულისაგან განსხვავებით, ქართული თვეების სახელწოდებანი დაკავშირებული იყო მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან. მაგალითად: მარიაობისთვე, გიორგობისთვე, ქრისტეშობისთვე... თუნდაც, კვირა ხომ აღდგომის ნიშნავს? მეგრელები კი, თითქოს, განუდგნენ ნამდვილ ღმერთს, სხვა სამყაროს ქმნიდნენ, კვირიკის დღეების სახელწოდებანი სხვადასხვა ღმერთების და პლანეტების სახელწოდებებთან იყო დაკავშირებული. ეს იგივე უფლის უარყოფაა. ეს ხალხის სულიერი დაცემის ერთ-ერთი შედეგია, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

წარმართულ სამეგრელოში ცნობილი იყო „წმინდანი“ მირსა, რომლის დღესასწაულსაც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ. ამ „წმინდანის“ სახელი „ჯეგე მისარონი“ იყო ცნობილი. ამ დღეს სალოცავად მიდიოდნენ გათხოვილი ქალები, რომელთა ფუძის სალოცავად „ჯეგე მისარონი“ ითვლებოდა, მიჰქონდათ სანთელ-შესანირი და დაკლული ღორები. „მნათები“ მათ დალოცავდნენ და შემდეგ შვილდში გაატარებდნენ, რასაც შეხვენილის შვილდში გატარება ეწოდებოდა. აქ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და თვალთ სწეულები, რომელთაც დაავადებდნენ „მისარონის“ ხატის წინ, რომელიც „ხატში ითონჯირაფათი“ იყო ცნობილი. ასეთივე ტრადიციები გახლდათ გავრცელებული: ჯუშითში, გახარაში, ჯიხაშკარში, ყულისკარში და სხვ. შემდგომში მეგრულ ტრადიციებში ამ „ღვთაება“ „მირსას“ რწმენა წმინდა გიორგიმ შეცვალა.

საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა, და ახლაცაა შემორჩენილი, ზოგიერთი წმინდანის გაღმერთება და სხვების არაფრად ჩაგდება. მაგალითად, სვანების დიდი ნაწილი წმინდა გიორგისა და კვირიკეს გარდა სხვა წმინდანებს არ ცნობენ, ხევსურეთში – „ლომისის სპარსანგელოზებსა“ და წმინდა „გივარგის“, იგივე წმინდა გიორგის, სამეგრელოში კი – წმინდა „მირსას“. უნდა ითქვას, რომ საქართველოში წმინდანთა შორის უპირატესობას ცრუმორწმუნენი წმინდა გიორგის ანიჭებდნენ. მოსე, რომელმაც ებრაელები აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანა, თვითონ უფლის კურთხევით არ ეღირსა ქანაანში შესვლას, რადგან მას სიკვდილის შემდეგ ებრაელები გააღმერთებდნენ. ასეთივე მდგომარეობა იყო კოლხეთში. აქ ცრუმწინდანს აღმერთებენ. ღვთისაგან წყალობა თითოეულ ადამიანს უფლის კანონების დაცვით ეძლევა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა მარხვით, სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მოიპოვოს სიხარული ორთავე სოფელსა შინა და არა ე.წ. მშვილდში გატარებით. ოჯახში წვერთა ერთ-სულიანობით და ერთობლივი ღოცვით მიიღწევა ჯანმრთელობა, ურთიერთისყვარული, ოჯახური სიმყუდროვე. ადამიანმა ღვთის გარდა არავინ უნდა გააღმერთოს.

იმერეთის ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელის სიტყვები გავიხსენოთ: „ჩვენ ქრისტიანეთაგან, ღმერთი მოითხოვს უდიდეს სინმინდესა და კრძალულებასა, ვიდრე ებრაელთაგან; მამასადაამე უმეტესად არ მოსძულდება ღმერთსა ჩვენი უქმენი და დღესასწაულნი, უკეთესესრეთ ცუდად ვატარებთ მათ? დღესასწაულთა შინა გვემტყება არა მადლ და სწავლა, არამედ ცოდვა და ბრალი“.

ყველიერის დასასრულს ხალხში იცოდნენ „ხოზოკვარი“. დაფქვავდნენ ღომის მარცვლებს, მასში პურის ფქვილს გაურევდნენ და ცომს მოხელდნენ. ამ ცომისაგან კვერებს გააკეთებდნენ, ერთ-ერთში კაკლის ჩხირს გაურევდნენ და ვისაც ეს კვერი შეხვდებოდა, იმ წელს ბედნიერი იქნებოდა.

კოლხეთში ხოზოკვარის ტრადიციები მეგრელთა ძირითად ხასიათს განსაზღვრავს. ეს ცნობისმოყვარეობაა! ამით ცდილობდნენ, ბედი წინასწარ განეჭვრიათ. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ბედს ცხოვრების წესი და სხე განსაზღვრავს. ამ ცრუ ტრადიციით ისინი ღვთის რისხვას იტყვდნენ თავს. ადამიანი მორჩილებით უნდა ხვდებოდეს ამქვეყნიურ სიხარულსა და მწუხარებას, განსაზღვრულს თუ წყალობას, რამეთუ ამქვეყნიური ყველაფერი წარმავალია. უფლის წყალობა რწმენის, სიყვარულის და იმედით მიიღწევა.

აგრეთვე, იცოდნენ „დისამ ხვამა“. იმ ადგილას, სადაც სახლი უნდა დაედგათ, ოჯახის უფროსი მივიდოდა და მიწას ითხვერ ამოთხრიდა. ხელში აიღებდა ოთხ კვერს, ოთხ ანთებულ სანთელს მიაკრავდა და დაილოცებოდა.

„დისამ ხვამა“ მინისა და სახლის კურთხევის დამახინჯებული ფორმაა. მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში მინისა და სახლის კურთხევის სასულიერო პირი ასრულებს. ამ შემთხვევაში კი, ოჯახის უფროსი და მღვდელი გაიგივებულია. ყოვლად შეუძლებელია, სასულიერო პირს შევადაროთ წარმართული ტრადიციების მიმდევარი. მღვდელი ხომ უფლის აღმსრულებელია.

ხალხი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ოჯახის უფროსი იგივე მღვდელი იყო. მართალია, ოჯახში უპირატესი სულიერადაც აღმატებული უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ითვალისწინებს იმას, რომ სახლის კურთხევა მან შეასრულოს. ეს შეუძლია იყო და ბეირი დღესაც უშეგებს ამ შედეგს. სამეგრელოში კერის ცეცხლზე წყლის დასხმა და ჩაქრობა არ შეიძლებოდა, იტყვდნენ – „ვაშიერსია“. „ვაშიერსია“ არქაულს ნიშნავს, ე.ი. რაღაცის ხსენება, გაკეთება თუ შესრულება არ შეიძლებოდა. ასეთი შიშის გამო, ცრუმორწმუნეები წინათ სასტიკად იცავდნენ „ვაშიერსის“ წესებს. „ვაშიერსის“ ანალოგიური წესები ყველა კულტურული ერის ცხოვრებაში შეინიშნება და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია „ტაბუს“ სახელწოდებით. „ტაბუს“ მიზანი იყო ცრუმორწმუნე ადამიანის დაცვა პროვლევარი მაცნე სულებისა და ბოროტი ზეგავლენა მოქმედებისაგან.

საქართველო, კერძოდ კოლხეთი, წარმართული ტრადიციებით ღვთის მცნებებს ამახინჯებდა, ცრუმორწმუნე კოლხები სხვაგვარად აზროვნებდნენ, ღვთის ნებას არღვევდნენ და არ კრძალავდნენ ასაკრძალს, განდგომილნი იყვნენ ღვთისაგან. ეკლესიურის გარდა სხვა დოგმა არ არსებობს. შეუძლებელია ღმერთის, რაიმე გამორჩენილი. ცრუმორწმუნენი მორჩილებას სიტყვით ადასტურებდნენ, საქმით კი – თითქოს ცალკე ქვეყანას ქმნიდნენ, ქვეყანას, სადაც საკუთარი კანონებით ცხოვრობდნენ და საკუთარ თავს ემონებოდნენ, არ უსმინდნენ სინდისის ხმას; იქნებ მათში სინდისი სრულიად ჩაკვდა და მიწასთან გასწორდა? ამ კითხვას ადამიანის ქცევა გაცემს პასუხს.

სამეგრელოში „ტაბუს“ ან „ვაშიერსის“ წესებსა და გადმონათლებს დღემდე მოუღწევია.

მეგრელები კერის ცეცხლზე ფიცობდნენ და იწყებდნენ. კერის ცეცხლს ორშაბათობით და ახალ წელსაც ოჯახიდან არ გასცემდნენ – ოჯახს ბარაქა არ ექნებოდა. სხვა სალოცავების ერთ ნაწილში და განსაკუთრებით „ფუქემ ოხვამურში“ მოცემულია კერის თავყვანისცემის წესები, ამ სალოცავების ნაწილი კი დაკავშირებული იყო „ოხვამურ ლავანთან“, როგორც იყო: „საღვთო საოხრო“, „საოცოდინარო“, „სადაბადო“ და სხვ. მათ „ოხვამურს“ უწოდებდნენ. ეს „ოხვამური“ მოთავსებული იყო მარანში, რომელიც სამლოცველო ადგილად ითვლებოდა. იქ ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდა, არავის შეეძლო შესვლა და სამლოცველო რიტუალის შესრულება. ღოცვის დასრულებამდე მას გული არ უნდა მოეყვანა და არც არავისთვის მიეცა ნება, ხონჩაზე დაწყობილი სალოცველის სანოვანიდან თუ გინდ

ერთი ნამცეცი პირში ჩაედო, რაც ცოდვად ითვლებოდა.

ეს უღლებსა-მოვალეობანი მექვედრეობით გადადიოდა უფროს ვაჟზე. კოლხეთში არსებობდა შემდეგი რიტუალები: „ჟინი ანთარი“, „ოცამზურე“, „ისკიოდობა“, „სოფლის ხვამა“, „ბორიამ ოხვამერი“, „ლუმუმ ოხვამერი“ და სხვ.

დასაწყისშივე აღინიშნა ის გარემოება, რომ სალოცავები და „ოხვამურები“ მეგრელი კაცის გონებაში ეკლესიათა დახურვამ ჩანერგა, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა?! როდესაც ეკლესია-მონასტერი კვლავ აღორძინდა, ხალხმა დამახინჯებულ ჩვეულებას არ უღალატა. „ოხვამური“ და სახლებში ღოცვა იმდენად იყო გამჭვდარი სისხლსა და ხორცში, რომ პირვანდელი სარწმუნოება დაივიწყეს.

სამეგრელოში ქუხთრუმას, ნითელას, ყბა-ყურას და ყვავილს „პატონები“ ეწოდებოდა (დღესაც ეწოდება). აღსანიშნავია, რომ „პატონები“ არის ბატონი და, ამ შემთხვევაში, ავადმყოფობა ბატონი უნდა იყოს. ავადმყოფიც მისი სიტყვებით ლაპარაკობს. ყვავილიან ავადმყოფს არ მკურნალობდნენ, არც რაიმე ნამალს შეავსებდნენ – ბატონები გაჯავრდებიანო. ართობდნენ სიმღერითა და ჩონგურზე დაკრით, უმღეროდნენ იავნანას. ოჯახში არ საქმიანობდნენ, ნემსს ხელში არ იღებდნენ, არც სადილს აკეთებდნენ და ყველაფერს მეზობლები უგზავნიდნენ. ხმაური, ჩხუბი და აყალ-მაყალი სასტიკად იყო აკრძალული. თუ ავადმყოფობა გართულდებოდა, მაშინ მოიხმობდნენ ბატონებსა და სამკაცს – „შემხმენ“, რომლებიც დაიჩოქებდნენ ავადმყოფთან, მიწას ჰკოცნიდნენ, ცოტას შეჰამდნენ და ისე ევედრებოდნენ „ყვავილ-ბატონებს“. ხატს შეუთქვამდნენ შესანიშნავს და ავადმყოფს „ჯინჯი“ ხატში გაავაზნებდნენ. განსაკუთრებით ევედრებოდნენ წმინდა ბარბარეს, რომელსაც ბატონების მამიდად მიიჩნევდნენ და ბარბარეს ეკლესიაში აგზავნიდნენ სანირად.

უნდა ითქვას, რომ სამეგრელოში ყველაზე ხშირ არსებდა მიაჩნდათ ავი და ბოროტი სულები, რომლებიც ეშმაკების სახით მავნებდნენ წარმოდგენილი კულდიანისა და რქიანი. ადამიანი გაუთვითცნობიერებლად, მაგიური მანიპულაციებითა და შელოცვებით მათგან თავდაცვას ცდილობდა. ავი სულების საწინააღმდეგოდ მრავალი შელოცვა იყო გამოუმუშავებული.

სამეგრელოში, შელოცვათა შორის, ყველაზე გავრცელებულია „ნათოლუს“ (ნათვალაის) შელოცვა. ცრუმორწმუნეებს სწამთ ავი თვლის არსებობა და შელოცვით დედაკაციც, რომლის შელოცვაც სჭირს, მათში ერთგვარ პატივისცემას იხვევდა. შემოცველებს განსაკუთრებით ეშინოდათ ელიობა ლამეს, რომელიც, ხალხის ცრურწმენით, კუდიანების დღესასწაულად ითვლებს. ნათვალაის წინააღმდეგ სხვადასხვა თილისმას ხმარობენ – აიღებდნენ სამკუთხედად გადაჭრილ ტყავის პატარა ნაჭერს, რომელშიც ჩადებდნენ მელისა და მელისა პანანინა ნაღველს, ფრჩხილებს, გულს, თვალის ნაწილებს, დიდი ოთხშაბათის სეფისკერის ნაწილს, სამკურნალო ბალახს, საკმეველს და შემდეგ ამ ტყავს აბრეშუმის ძაფით შერევენ. ამ თილისმას გაუყრიდნენ საფერა ძაფისაგან დაგერხილ ზონარს და გულზე დაიკიდებდნენ. სახლ-კარის ავი თვალისაგან დასაცავად ღობეზე კიდებდნენ ცხენის თავს, სახლის კარზე კი ნალსა და გახვრტლულ ქვას აკრავდნენ.

ხალხში გავრცელებულია „შელოცვები“ მათ სულიერ მდგომარეობას ნათელყოფდა. ცრუმორწმუნენი ცდილობდნენ, სხვადასხვა „ლოცვებით“ განეკურნათ ადამიანები. ის კი არ ახსოვდათ, თუ უფლის ნება არ იქნება, ამა თუ იმ ავადმყოფობას ვერავინ მოარჩენს. ამიტომ უნდა მისულიყვნენ ეკლესიაში მღვდელთან და ავადმყოფისათვის პარაკლისი გადაეხადათ. შემოცველები კი არამართლმადიდებლური მანიპულაციებით ცდილობდნენ უფლის მიერ მოვლენილი განსაცდელის შემსუბუქებას. არაქრისტიანული კი

ყველაფერი მწვალებლობა.

ხდებოდა, რომ ბოროტი ძალით ადამიანი ხანდახან განიკურნებოდა დაავადებისაგან. ამით ხალხში კიდევ უფრო მტკიცდებოდა შელოცვების ძალა. ღოცვითა და ზიარებით ავადმყოფის განკურნების არც სურვილი იყო და არც შედეგობა. არ უწყიან, რომ ასე ეშმაკის ფართო, ადვილ გზაზე მიაბიჯებენ და ვაი იმას, ვინც ამ გზის დასალოცის მიაღწევს! უფალი ამბობს: „მოყვდით ჩემდა ყოველნი მამრალნი და ტვირთმიმინენ და მე განვისვენოთ თქვენ“.

ყველაზე სამძიმო საქმე იყო ილორის ხატზე ადამიანის გადაცემა – „გინოჩამა“. ხალხის რწმენით, ილორის ხატზე გადაცემულ ილორის წმინდა გიორგი უეჭველად დაამიზნებდა. სასოფლო ყრილობაზე გამოაცხადებდნენ, რომ ესა და ეს ადამიანი მიდის ილორში დამწმუნის გადასაცემად. რიტუალის ჩატარება გავრცელებული იყო ხარის უღელთაზე თან ახლდა სხვადასხვა წყევლა. ილორის მსგავსად დამახინჯებული იყო ეკლესიები: სუჯუნაში, კორცხელში, ყულუმკარში და ასევე იყო ოხვამური ჯიხაშკარში და სხვადასხვა სოფლებში.

წყევლა და ხატზე გადაცემა მკვლავლობის ტოლფასია. უფლის ნება არც იყო და არც იქნება ადამიანის სიკვდილი. აღსანიშნავია, რომ ამ რიტუალის შემდეგ გადაცემული ხშირად კვდებოდნენ ან ქაჯუნზე იშლებოდნენ. ღმერთი მოწყალეა, იგი შიშისმუნს ადამიანის კარგ სურვილს, ბოროტების კი არ დაუშობს! ამ რიტუალის დროს, ეშმაკის ბოროტი ძალის ზემოქმედებით, ადამიანი მთლიანად მიწასთან იყო გასწორებული. „გინოჩამა“ არის მჭიდრო ურთიერთობა ეშმაკთან. ეს კავშირი ერთგვარი ბოროტების დასაწყისია, უფალთან დამორება კი იგივეა, რაც დამორება სინათლესთან, სითბოსთან. კაცი თანდათან ეფლობა ბოროტების ჭაობში, ქრება და, მის ნაცვლად, ტლახი და ნუშვი ისადგურებს.

რელიგიურ ტრადიციებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მსხვილშეხვედრებს. ეს ტრადიციები უფალთან და ავი თვლისა და ავი თვლისა ანული. სწირავენ მსხვილშეხვედრებს და წერილფება პირუტყვს და ფრინველს. ეს ტრადიციები გავრცელებულია ასევე სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, აფხაზეთში, იმერეთში, გურიასა და სხვ.

როგორც ვხედავთ, წეს-ჩვეულებანი და რიტუალები საუკუნეების განმავლობაში ისე განმტკიცდა ცნობიერებაში, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანთა გარკვეულ ნაწილში მათი შესრულება ერთგვარ მოთხოვნილებად იქცა. ერთგვარ მოთხოვნილებად იქცა, რომ ის ჩვეულებანი ახლაც გრძელდება და ბრმად მსახურებას ბოლო არ უჩანს. ადამიანები, უმეტეს რების გამო, ცოდვათა მონობისაგან დამღუპველ მდგომარეობამდე მიიწვინ. დაუტყვევოთ ყოველგვარი „საქმე საუშმაკო“ და სათონოების, სიყვარულის, მოჩრდილების ნაკადს მივცეთ გზა დარჩენილი ცხოვრების ასპარეზზე. იმედი, უსარგებლო გადმოწამთაში აღმოფხვრება და დასაბამი მიეცა მართლმადიდებლური, ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მსმენებლობას.

კვლავ გაბრძოლ ეპისკოპოსის სიტყვებით მივინდა დავასრულო: „განემორეთ, ძმანო, უგუნურთა საქმეთა, მოიშალეთ უსარგებლონი და საჯულის წინააღმდეგინი ჩვეულებანი. დღესასწაულთა ატარებდეთ სულიერად ღოცვით და არა ლხინით და სმით. დღესასწაულად ის გეყოფათ, რომელიც თვით წმიდა მამათა განაჩინეს; სხვა დღესასწაულთა ნუ მოიგონებთ, მკითხავთა ნუ დაუჯერებთ; გყვანან მოძღვარნი მღვდელნი; იგინი არიან თქვენნი დამრიგებელნი; მათ კითხავდნენ დარიგებას და არა მარჩიელთა. ამინ“.

თარგმანი იყო სასწავლო-პრაქტიკული კონფერენციაზე „რწმენა ჩვენი ცხოვრებაში“

სახვითი ხელოვნების შედეგები სიღნაღის მუზეუმში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბანკო დარბაზში
დასავლეთ ევროპის ფერწერა
XVI - XIX საუკუნეები

ეროვნული მუზეუმი აგრძელებს გამოფენათა ციკლს „საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურები“ და 2010 წლის 15 მაისს, სიღნაღის მუზეუმში, ევროპის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „დასავლეთ ევროპის ფერწერა XVI-XIX საუკუნეები“ გაიხსნა.

გამოფენაზე ექსპონირებულია ხელოვნების მუზეუმში დაცული XVI-XIX საუკუნეების იტალიის, გერმანიის, პოლანდიის, ფლანდრიისა და საფრანგეთის ფერწერულ სკოლათა ნამუშევრები ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული და მხატვრულ-სტილური მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დასავლეთ ევროპული ხელოვნების ნიმუშთა კოლექციას, ქრონოლოგიური თუ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მის შექმნას საფუძველი 1920-იან წლებში დიმიტრი შვედენდამ ჩაუყარა. 1954 წელს ეროვნული გალერეის, მუზეუმ „მეტეხის“, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმის დასავლეთევროპულ ექსპონატთა კოლექციები გაერთიანდა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ცალკე განყოფილება შეიქმნა. მისი ფონდები წლების განმავლობაში მდიდრდებოდა შემოსილი და კერძო პირებისგან შესყიდული ფერწერული და გრაფიკული შედეგებით.

გამოფენაზე XVI საუკუნის იტალიური რენესანსის ფერწერა ტიციანის (1487/90-1576) სკოლის უცნობი მხატვრის ნიმუშითაა წარმოდგენილი. „სენატორ კონტარინის პორტრეტი“ კომპოზიციური აგების ლაკონიზმში, კოლორის-ტულ-ფაქტურული გადაწყვეტა, რბილი შუქრდილოვანი მოდელირება დიდი მანერის პორტრეტული შემოქმედების ტრადიციებზე მიახლოებს. ფიზიკურად და სულიერად ლამაზი პიროვნების მხატვრული სახის საშუალებით იხსნება ალორძინების ეპოქის ადამიანის ზოგადი, ტიპური ნიმუში – შინაგანი ძალისა და საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნება.

იტალიურ მანიერისმს გვიდო რენის ფერწერით ვეცნობით. მის ნამუშევრებში შერწყმულია მიქელანჯელო და კარავაჯოს ნოვატორული, კონტრასტული შუქრდილის დრამატული ეფექტები და ბოლონის სკოლის აკადემიზმი. ფერწერული ტილო „მიქელ მთავარანგელოზი“ გვიდო რენის მიერ 1636 წელს რომის სანტა მარია დელა კონჩინციონეს ეკლესიისთვის შესრულებული, იმავე სახელწოდების, მონუმენტური ფერწერული ნამუშევრის დაზგური ვარიანტია.

გერმანული რენესანსის ყველაზე ორიგინალური შემოქმედის, ლუკას კრანახ უფროსის (1472-1553) „მაჭანკალი“ ჩვენი კოლექციის უძვირფასესი ექსპონატია. „მაჭანკლის“ ბედი, მართლაც რომ, ტრაგიკულია. სურათმა ქართული საგანძურის სხვა ძეგლების მსგავსად ათეულობით წელი ექვთიმე



იორის ვან სონი (1623-1667). ნატურმორტი. ტილო, ზეთი. 87x121



ონორე დომიე (1808-1879). ვაგონში. ხე, ზეთი. 49,5x41,2



იან სტენი (1626-1679). ოჯახური ნადიმი. ტილო, ზეთი. 103x90,5

თაყაიშვილთან ერთად ემიგრაციაში დაჰყო. 1990-იან წლებში იგი მუზეუმიდან გაიტაცეს და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაუბრუნდა ეროვნულ საგანძურს.

განსაკუთრებული სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით XVII საუკუნის პოლანდიური და ფლამანდიური ფერწერის ნიმუშთა კოლექცია გამოირჩევა. პოლანდიის – ევროპაში ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური წყობის პირველი ქვეყნის ხელოვნება განსაკუთრებული დემოკრატიულობით ხასიათდება.

პოლანდიური ხელოვნების უდიდეს შემოქმედთა – ჰარმენ ვან რეინ რემბრანდტის, პიტერ ჰალსისა და იან ვერმეერის გვერდით, რომელთა შემოქმედებამ გარკვეულწილად განსაზღვრა მომდევნო პერიოდის ევროპული ხელოვნების განვითარება, პოლანდიაში „მცირე პოლანდიელების“ ფერწერული სკოლა ჩამოყალიბდა. ეს სახელი ამ მხატვრებს მცირე ზომის ნამუშევრებისთვის (პეიზაჟი, ინტერიერი, ყოფითი თემა) შეარქვეს. მათი ფერწერა ხასიათდება წერის დახვე-

წილობით, მცირე დეტალების გამოსახვის სიზუსტით, შუქრდილოვანი და კოლორისტული ნიუანსების იუველირული დამუშავებით, რაც მხატვრული სიმყუდროვის განწყობას ბადებს. ამ ნამუშევართა შესრულების მინიატურული ტექნიკა ახლოდან აუჩქარებელ დათვალიერებას ითხოვს და კომპოზიციისა თუ სახვით სახეთა გამომსახველობით გვაოცებს. ანტონ პალამედესი (1601-1673), ფილიპ ვოუვერმანი (1619-1668), ალბერტ კეიპი (1620-1691), იან სტენი (1626-1679), ეგბერტ ვან ჰემსკერკი (1634/35-1704) ამ სკოლის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან. იაკობ ვან რეისდალი (1628-1682) პოლანდიური პეიზაჟის ყველაზე დიდი ოსტატია. „ჩანჩქერი“ ამ თემაზე შესრულებული ციკლის ერთ-ერთი ნიმუშია.

ყოფითი და ნატურმორტის ჟანრთა დამაჯერებელი სინთეზი განახორციელა იოახიმ ბეიკელარის (1533-1573) სკოლის უცნობმა მხატვარმა გამოფენაზე წარმოდგენილ ფერწერულ ნამუშევარში „ნა-

ტურმორტი ფიგურებით“.

XVII საუკუნის ფლამანდიური ფერწერის სკოლის წამყვანი მხატვრული სტილია ბაროკო. მის სათავეში გენიალური რუბენსი (1577-1640) დგას. ეპოქის ძირითადმა ტენდენციებმა – სივრცის, დროის, სიკაცხლის დინამიკური რიტმის ახლებურმა გააზრებამ ფლამანდიურ ხელოვნებაში მკაფიო და თვითმყოფადი გამოხატულება ჰპოვა. ფლამანდიელმა ოსტატებმა აღბეჭდეს სამყაროს გრძობადი სიღამაზე და შექმნეს სიკაცხლით სავსე ადამიანების მხატვრული სახეები. გამოფენაზე იხილავთ პიტერ პაულ რუბენსის სახელოსნოს უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ „სასიყვარულო სცენას“, იორის ვან სონის (1623-1667) ნატურმორტს ყვავილებითა და ლობსტერით, რომელიც ფლამანდიური ნატურმორტებისთვის დამახასიათებელი სადღესასწაულო განწყობითა და დეკორატიულობით გამოირჩევა. პიტერ სნიეერსის (1681-1752) შესანიშნავი პეიზაჟი გვხვდება ბუნების აღქმის უშუალოდ, პეიზაჟური მოტივების

განსაკუთრებული გამომსახველობით. ვალიორთა რთულ სისტემაზე აგებული კოლორიტი და სრულყოფილი შუქრდილოვანი დამუშავება ამ პეიზაჟს პიტერ სნიეერსის საუკეთესო ნამუშევართა რიგში აყენებს. ყოფითი ჟანრისაა იან ბატისტ ლამბრეტის (1680-1731) მცირე ზომის სურათი.

ფრანგული ფერწერა ჩვენს კოლექციაში XVII-XIX საუკუნეების მხატვრულ სტილთა უდიდეს შემოქმედთა და მათი სკოლების მხატვართა ფერწერული სურათებით არის წარმოდგენილი. ნიკოლა პუსენი (1594-1665) ფრანგული კლასიციზმის ფუძემდებელია. მისი ხელოვნება მთავარ იდეას – ადამიანისა და საზოგადოების ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებას გადმოსცემს. მხატვარი სიუჟეტებს ანტიკური და ბიბლიური თემებიდან იღებს და მათი საშუალებით თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. გამოფენაზე იხილავთ დიდი მხატვრის ნამუშევარს – „პროზერპინას მოტაცება პლუტონის მიერ“. კლოდ ლორენის (ყელე. 1600-1682) პეიზაჟური სკოლის უცნობი მხატვრის ნამუშევარს ელეგორ-მეოცნებე განწყობა ახასიათებს. კლასიციზმის სტილის რეპრეზენტაციულ შეროიკულობასა და დრამატულობას ცვლის როკოკოს დეკორატიულ-კამერული სტილის მომხიბვლელობა და დახვეწილობა, რომელსაც ანტუან ვატოს (1684-1721) სკოლის უცნობი მხატვრის მცირე ზომის ფერწერით ვეცნობით. შარლ ფრანსუა ლაკრუა (1700-1782) ფრანგული რომანტიზმის ერთ-ერთი წინამორბედი. გამოფენაზე წარმოდგენილი მისი პეიზაჟის რომანტიკულ-დრამატულ ხასიათში აშკარად იჩენს თავს იტალიური ხელოვნების გავლენა. შან ბატისტ გრიოზის (1725-1805) შემოქმედების მორალისტური განწყობა და სენტიმენტალიზმი ახასიათებს მისი სკოლის უცნობი მხატვრის ნამუშევარს – „მთვრალი მამა“. XIX საუკუნის 50-60-იან წლებს მიეკუთვნება ფრანგული კრიტიკული რეალიზმის უდიდესი შემოქმედის, ონორე დომიეს (1808-1879) ფერწერული ნამუშევრები, რომელთა თემას მხატვარი უბრალო ხალხის ცხოვრებიდან იღებს. ექსპონირებული ფერწერული სურათი „ვაგონში“ მხატვრის ცნობილი ტილოს – „მესამე კლასის ვაგონის“ ერთ-ერთი ვარიანტია.

ხელოვნების მუზეუმის ევროპული ხელოვნების კოლექცია მალალ-მხატვრული ღირებულებების ექსპონატთა სიმრავლითაა გამორჩეული. წარმოდგენილი ნამუშევრები ევროპული ხელოვნების განვითარების ძირითად ტენდენციებს ასახავს, XVI საუკუნიდან XX საუკუნემდე.

საზოგადოებას კვლავ ეძლევა შესაძლებლობა, სიღნაღის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებში იხილოს ევროპული ხელოვნების ეს უმშვენიერესი კოლექცია, რომელიც ხელოვნების მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციის პროცესის გამო დამთვალეობის დროებით მიუწვდომელია.

გამოფენას თან ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ლექციების კურსი.

ნანა შირვაშიძე



მისამართი: ტაბაღაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 220058735,
ბ/ა 123631000

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი